ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 14 ნოემბერი, 2023 №224 (9260) ფასი: 80 თეთრი

„საქართველოში ექთნების ექიმებთან თანაფარდობა არ შეეფერება საერთაშორისო სტანდარტს“

გვ.4

გვ.3

სუსის მიერ დაკავებულ უცხო ქვეყნის ორ მოქალაქეს პატიმრობა შეეფარდა

„ბიძინა მიშას ყოველთვის მოერევა და დაამარცხებს!“

გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „სალომე ზურაბიშვილი არის ფიგურა, რომელსაც აქვს პოტენცია, გახდეს დიდი არანაცური ოპოზიციური სპექტრის ერთგვარი შემკვრელი. თუ ამას გააკეთებს, ის ნამდვილად იქნება პირველი ძალა და არა მესამე“



„ბოლო თვეების განმავლობაში გაიზარდა საქართველოს როლი აზერბაიჯან-სომხეთის მოლაპარაკებებში“

გვ.4

„ვაშინგტონი დაინტერესებულია იმით, რომ სამხრეთ კავკასიაში არ დაუშვას რუსეთისა და ამერიკისადმი მტრულად განწყობილი სხვა მოთამაშეების გაძლიერება“

გვ.3

ნარკოტიკების ფლობის ბრალდებით დაკავებულ ზურა ნიქარაძეს 8-დან 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება

ლევილის მამულში უნდა ჩაიდგას ქართული ოდა, რომელსაც რესტორნისა და სუვენირების მაღაზიის ფუნქცია ექნება

გვ.2

გვ.3

პროკურატურამ საგარეჯოში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალგაზრდობის სააგენტო დაემატა

გვ.3

გორის მუნიციპალიტეტში მზის ელექტროსადგურის აშენება იგეგმება

ამბები აფხაზეთის ომიდან

გვ.5

„მგონი დავიჭერი, იარაღს მიმიხედე, ბიჭო!“

ვილი სანიოლი: შოტლანდია-ესპანეთთან ბევრი რამ კარგად უნდა გავაკეთოთ

გვ.6

4 საქართველო და მისი ოკუპირებული რეგიონი აფხაზეთი რუსეთში ღვინის იმპორტ-ექსპორტში მეორე ადგილზეა

6 სოფლის მაცხოვრებლებმა გათხოვილი ქალის საყვარელი დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და სცემეს

7 შენგელიას ორმაგი დუბლი

6 რისთვის ემზადებიან რუსები?

1993230720223

„ბიძინა მიშას ყოველთვის მოერევა და დაამარცხებს!“

დავით ზურაბიშვილი: „სალომე ზურაბიშვილი არის ფიგურა, რომელსაც აქვს პოტენცია, გახდეს დიდი არანაცური ოპოზიციური სპექტრის ერთგვარი შემკვრელი. თუ ამას გააკეთებს, ის ნამდვილად იქნება პირველი ძალა და არა მესამე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.



— ბატონო დავით, თქვენი დადებითი მოლოდინი სტატუსთან დაკავშირებით გამართლდა. ვისმენთ შეფასებებს, რომ ეს იყო ისტორიული გადაწყვეტილება. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს? რა დადებითი ან უარყოფითი მხარები ახლავს თან ამ ყველაფერს?

— უარყოფით მხარეს საერთოდ ვერ ვხედავ, აბსოლუტურად, ვერანაირს. ეს პროცესი მთლიანად დადებითია. ჩემთვის ყოველთვის იყო ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი, ზეპარტიული თემა. ამ საკითხს პოლიტიკური დაპირისპირების კონტექსტში არასდროს განვიხილავდი. ჩვენი ქვეყნისთვის ევროკავშირში გაწევრიანება არის კარგი, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა. ეს კონსტიტუციით დეკლარირებული მიზანია. ეს სერიოზული მიღწევა და წარმატება იქნება. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ, კანდიდატობა არის საფეხური, თუმცა, საწყისია, სტარტია ამ პროცესის. გლეხი კაცისთვის გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ და გავაკეთოთ შედარება, უმაღლეს სასწავლებელში რომ მიგვიღონ უგამოცდოდ. დიპლომს ავიღებთ თუ არა და პროფესიას როგორ დავეუფლებით, ეს მეორე საკითხია. ჩვენ ახლა უმაღლესში ჩავაბარეთ. როგორ ვისწავლით, ეს უკვე მეორე საკითხია.

— ოპოზიცია აცხადებს, რომ არ უნდოდა „ოცნებას“ სტატუსი და მეკავე სახეებით დადიანო. რამდენად უშვებთ, რომ არ ნდომოდა?

— მე ვერ ვიტყვი, რომ არ უნდოდა. თუმცა, როდესაც ხელისუფლებას ვაფასებთ, რეალურად ეს ხომ არ არის ერთი გუნდი. მათ არც საერთო შეხედულებები და არც საერთო ღირებულებები აქვთ. ეს არის რეალურად ერთი ადამიანი, რომელიც ჩრდილშია, ვგულისხმობ ბიძინა ივანიშვილს, თვითონ არ ჩანს, არ ლაპარაკობს და მის მაგივრად ლაპარაკობენ სხვები. ეს ხალხი არის ბიძინა ივანიშვილის რესურსი. მათი პირით გველაპარაკება. კომპიუტერულ თამაშებშია ასე, არის კონკრეტული ადამიანი, მაგრამ სულ სხვა სახელითა და გვარითაა წარმოდგენილი. ასე ჰყავს ბიძინას ეს ხალხი. როგორც ავატარმა არ იცის, რა განზრახვა აქვს ამ თამაშის ავტორს, ასევე ამათმა არ იციან, რა განზრახვა აქვს ივანიშვილს. ამათმა იციან ერთი, რასაც იტყვის ბიძინა, ის უნდა გააკეთონ.

— თავად ივანიშვილს რამდენად უნდოდა სტატუსი?

— იყო დრო, როდესაც ბიძინას არ უნდოდა სტატუსი. ასე რომ არ ყოფილიყო, ის არც გვარამიას დაიჭერდა გადაწყვეტილების მიღების წინ და „ოცნებას“ არც ასეთ ანტიდასავლურ განცხადებებს გააკეთებინებდა. მაშინ პიკში ავიდა ანტიდასავლური განცხადებები. ახლა უნდოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიჭერდა ვინმეს და ჩაშლიდა, რა პრობლემა იყო მისთვის?! რადგანაც არ ჩაშალეს და ბოლო პერიოდში მოუკლეს ანტიდასავლურ განცხადებებსაც, ბიძინამ, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე მას კანდიდატის სტატუსი სჭირდება. არ გამოვრიცხავ, ივანიშვილსაც ისეთივე შეხედულება აქვს, როგორც თამარ ჩერგოლეიშვილსა და გიგა ბოკერიას, რომ ეს ივანიშვილისთვის იყო მომგებიანი. მიაჩნიათ, რომ ეს გამოადგებათ საარჩევნოდ.

— რამდენად დაიწერენ ქულებს არჩევნებისთვის?

— ჩვენ დეკემბერში აუცილებლად მივიღებთ სტატუსს. ისეთი გეოპოლიტიკური ვითარებაა, რომ სხვა ლოგიკა არ ჩანს. არჩევნებს რაც შეეხება, არჩევნები არის ოქტომბერში. ჩვენ გვაქვს გარკვეული პირობები და რომ დავდგეთ გაწევრიანების გზაზე, ეს პირობებია შესასრულებელი. ეს პირობები ახლა უფრო კონკრეტულია, ვიდრე იყო ის 12 პუნქტი. ეს არის ის პირობები, რომლებიც უნდა შეასრულოს ხელისუფლებამ. ხელისუფლებას ეს გამოადგებოდა საარჩევნო პიარისთვის, თუ, რასაკვირველია, არჩევნები იქნებოდა ახლა.

— და ამ ერთ წელიწადში ყველაფერი შეიძლება მოხდეს?

— რასაკვირველია. ასევე, ეს 9 პირობა არის შესასრულებელი. რამდენადაც ამ შესრულების გზაზე დადგება ხელისუფლება, იმის მიხედვით იმსჯელებს ხალხი, რამდენად რეალურად გვსურს ჩვენ ევროკავშირში შესვლა. ხელისუფლება ამ რეფორმებს თუ გაატარებს, მაშინ ივანიშვილს გაუჭირდება ძალაუფლების ასე ერთპიროვნულად შენარჩუნება. დემოკრატია ისეთი რაღაცაა, მეოთხე ვადით ვერავინ შეძლებდა მოსვლას.

— ამ ოპოზიციის პირობებში რა გარანტია გვაქვს, რომ ისევ „ოცნება“ არ მოვა?

— არსებული კონფიგურაციითა და არსებული დღის წესრიგით, რაც ოპოზიციის უმრავლესობას აქვს, ამით ეს ხელისუფლება არ დამარცხდება და კვლავ შეინარჩუნებს ძალაუფლებას. ეს ცხადზე უცხადესია. ყველა გამოკითხვა ამას ადასტურებს. ცვლილებები რომ არის საჭირო, ხვდებიან, მაგრამ რა ცვლილებები, ამას ვერ ხვდებიან. არის რამდენიმე მომენტი, რაც ოპოზიციისთვის არის ბევრად ხელსაყრელი, ვიდრე ხელისუფლებისთვის, უბრალოდ ოპოზიცია ამას არ აკეთებს. ყველაფერს აკეთებს 180 გრადუსით საწინააღმდეგოს.

— რას გულისხმობთ?

— მაგალითად, რაც უფრო დაძაბული და გამწვავებულია ვითარება, მით უფრო უკეთესია ეს ხელისუფლებისთვის და არა ოპოზიციისთვის. ოპოზიცია ცდილობს, სიტუაცია გაამწვავოს, დაპირისპირების ტემპერატურა აწიოს, სულ ამის მცდელობა აქვთ. შედეგი კი სრულიად საპირისპირო მოაქვს ამ ყველაფერს. სწორედ ხელისუფლება ძლიერდება ასეთი დაპირისპირების დროს. ოპოზიციის მომხრეებში კი ხდება იმედგაცრუება. ზოგადად, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებში, საკმაოდ დიდია ისეთი ადამიანების წილი, ვისთვისაც კატეგორიულად მიუღებელია ნაცმოძრაობისა და მიშას მობრუნება. როდესაც ასე დგას საკითხი, ერთი-ერთზე ბიძინა ყოველთვის მოერევა და დაამარცხებს მიშას. ასე არის და ასე იქნება, სანამ ის ხალხი ცოცხალია, ვისაც მიშას მმართველობა ახსოვს.

— ნაცმოძრაობა ახსენეთ და რა ხდება ამ პარტიაში? ბევრი ფიქრობს, რომ თვითგანადგურების რეჟიმი აქვთ ჩართული.

— არა, ასე ვერ ვიტყოდი. ასე მარტივად არ განადგურდებიან. რაც უნდა იყოს, ამხელა რეიტინგის მქონე პოლიტიკური ძალაა. სანამ მიშა ცოცხალია, რაღაც პროცენტი პარტიას აუცილებლად ექნება. ის არის ამ პარტიის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

ახლა გეტყვით, რა არის ხელისუფლების სისუსტე, რითაც ის ჩამოუვარდება არა მხოლოდ ნაცმოძრაობას, არამედ მთელ ოპოზიციურ სპექტრს.

— რაში მოიკოჭლებს „ოცნება“?

— საქმე მიდის ინტელექტუალურ დაპირისპირებამდე. კომპეტენციაში, კვალიფიკაციაში ხელისუფლება ავლენს ძალიან დიდ სისუსტეს და ეს ძალიან კარგად ჩანს. თუნდაც პარლამენტი რომ ავიღოთ, რაც მეტად არის დებატები და დავა პარლამენტში, იქ ჩანს ოპოზიციის უპირატესობა. ოპოზიციონერ დეპუტატებში უფრო მეტი კვალიფიციური ადამიანია, ვიდრე ხელისუფლებაში. ხელისუფლებაში არიან საშუალო რანგის ჩინოვნიკები. თუმცა, მათ ზურგს ძალაუფლება და ძალოვანი სტრუქტურები უმაგრებენ. დღეს ძალოვან უწყებებს ხელისუფლება სრულად აკონტროლებს, ამიტომ არანაირი რევოლუცია აქ შესაძლებელი არ არის. რაც უფრო ძაბავს სიტუაციას ოპოზიცია, ამით უფრო აგებს. პირიქით უნდა იყოს, საქმიანი და წარსდგეს კვალიფიციური წინადადებითა და შეთავაზებებით საზოგადოების წინაშე. ამ გზით უნდა უტევდეს ხელისუფლებას, ინტელექტუალური კუთხით და ამას ამომრჩეველიც სწორად შეაფასებს. ახალგაზრდა ამომრჩეველზე უნდა იმუშაონ, რადგან „ოცნება“ მათში პოპულარობით არ სარგებლობს. მაქსიმალურად პოზიტიური დღის წესრიგი უნდა შესთავაზო საზოგადოებას. შენ რითი ხარ უკეთესი, ეს უნდა წარმოაჩინო. ესაა პოზიტიური კამპანია. ტემპერატურის აწევაზე კი არ უნდა იმუშაო, არამედ წყნარ სიტუაციაზე, თუ გინდა, რომ დაამარცხო „ოცნება“.

— ნაციონალური მოძრაობა დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებსაც აზიანებს?

— თუ მისგან არ არიან გამიჯნულები და განსხვავებულები, მაშინ აზიანებს. ხელისუფლება დღეს ცდილობს, რომ ყველას მიაკეროს ნაცმოძრაობის იარლიყი. სწორედ ესაა მისი ტაქტიკა არჩევნებში. ახლაც ამას ცდილობს, რომ ყველა გამოაცხადოს ნაცად. სალომე ზურაბიშვილიც ნაცია, მამუკა ხაზარაძეც და გიორგი გახარიაც. ოპოზიციისგან განსხვავებით, ხელისუფლება ყველა თავის მესიჯს აგებს კვლევებზე. ყოველ კვირას ატარებენ კვლევებს, ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს. ყურადღებას აქცევენ, მათი ამომრჩეველი რაზე ამახვილებს ყურადღებას და მერე ამის მიხედვით ადგენენ მესიჯბოქსს.

— ბატონო დავით, გიორგი გახარია ახსენეთ და „ოცნებამ“ მას რაც უნდა ნაცი ეძახოს, საზოგადოებაში ასე არ აღიქმება. რამდენად მწვავედ დაუპირისპირდებიან მას წინასაარჩევნოდ? ვხედავთ, რომ მისი რეიტინგი მზარდია.

— გახარიას პარტია არის პრაქტიკულად ერთადერთი, რომელსაც აქვს განსხვავებული რიტორიკა და განსხვავებული გზავნილი საზოგადოებისთვის. ხელისუფლება კი მას სულ ნაცად აცხადებს, მაგრამ ეს არ გამოდის. არ იჯერებს ამას ხალხი. გახარია და მისი ხალხი თანაბრად ლანძღავს როგორც ხელისუფლებას, ისე ნაცებს. გახარიას ფრაზაა, სხვათა შორის, რომ ეს ხელისუფლება განაცდა. ასევე, არასდროს ამბობენ, რომ ეს ხელისუფლება პუტინის დასმულია. როგორც კი ამას იტყვი, მაშინვე ნაცი ხარ. გახარიას გუნდს აბსოლუტურად სწორი გზავნილები აქვს.

— ბატონო დავით, მართლაც შესაძლებელია გახარიასა და პრეზიდენტ ზურაბიშვილის ალიანსი, თუ ამას „ოცნება“ უვრცელებს?

— ზოგადად „ოცნება“ ავრცელებს ისეთ ამბებს, რაც მისთვის არის ყველაზე არასასურველი. სალომე ზურაბიშვილი არის ფიგურა, რომელსაც აქვს პოტენცია, გახდეს დიდი არანაცური ოპოზიციური სპექტრის ერთგვარი შემკვრელი. თუ ამას გააკეთებს, ის ნამდვილად იქნება პირველი ძალა და არა მესამე. ანუ ეს ძალა იქნება ყველაზე რეიტინგული. გახარიაც ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. მის გარეშე არანაცურ გაერთიანებას მე ვერ ვხედავ. გახარიას გარეშე სხვა პარტიები, უბრალოდ, არ გაერთიანდებიან. ცალკე ამბიციებს ვერ გადალახავენ და ვერ გაერთიანდებიან, აი, სალომე ზურაბიშვილის გარშემო კი ასეთი გაერთიანება შესაძლებელია. თუ ეს მოხდა, სწორედ ეს იქნება ის ძალა, ვინც არჩევნებში გაიმარჯვებს. ტექნიკურად ცოტა სირთულეები ახლავს თან ამ ყველაფერს, მაგრამ პრეზიდენტმა თუ ეს გადაწყვიტა, ამ ტექნიკურ სირთულეებს მოევლება. დაველოდოთ, რას გადაწყვეტს პრეზიდენტი. დეკემბრამდე ეს არ მოხდება, სანამ სტატუსს არ მივიღებთ. მერე კი ვისურვებდი, ასე ყოფილიყო.

ლევილის მამულში უნდა ჩაიდგას ქართული ოდა, რომელსაც რესტორნისა და სუვენირების მაღაზიის ფუნქცია ექნება

საფრანგეთში მდებარე ლევილის მამულში უნდა ჩაიდგას ქართული ოდა, რომელსაც რესტორნისა და სუვენირების მაღაზიის ფუნქცია ექნება.

შესაბამისი არქიტექტურული სამუშაოების შესყიდვის მიზნით ეროვნულმა მუზეუმმა შესყიდვების სააგენტოს უკვე მიმართა. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 58.200 ევროა. სააგენტოს წინადადების განხილვის ვადა 15 ნოემბრამდე აქვს.

— ლევილის მმართველი საბჭოს წევრების მიერ ერთხმად გადაწყდა, რომ ლევილის მამულში, რომელიც წარმოადგენს ქართულ-ფრანგულ კულტურულ კერას, უნდა ჩაიდგას ქართული ოდა. აღნიშნულ ოდას ექნება რესტორნისა და სუვენირების მაღაზიის ფუნქცია.

ოდის მშენებლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ლევილის მერიიდან მშენებლობის ნებართვის მიღება. საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული მოითხოვს მთელი რიგი დოკუმენტაციის მომზადებას (მათ შორის, ენერგოეფექტურობის კვლევა; არეალზე არსებული ზედაპირების ცხრილები და უსაფრთხოების ცნობა) და შესაბამისი პროცედურების წარმართვას.

ვინაიდან ნებართვის მოპოვება ხდება საფრანგეთში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, აღნიშნული პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ადგილობრივი არქიტექტორის მიერ,“ – აღნიშნულია სატენდერო წინადადებაში.

ცნობისთვის, პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრის – ლევილის ქართული აკადემიის (ლევილის მამულის) ტერიტორიაზე არსებული შენობების (შატო, ე.წ. „პოლკოვნიკ წერეთლის სახლი“ და ბიბლიოთეკა) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოებს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახორციელებს. შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაახლოებით 2.623.828 ევრო ჯდება.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 იელისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

ნარკოტიკების ფლობის ბრალდებით დაკავებულ ზურა ნიჟარაძეს 8-დან 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება

ნარკოტიკული ნივთიერებების ფლობის ბრალდებით დაკავებულ მოქალაქე ზურა ნიჟარაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. ინფორმაცია ფორმულას დაკავებულის ადვოკატმა დაუდასტურა.

მისი თქმით, ნიჟარაძის წინააღმდეგ საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის ა ქვეპუნქტით, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების ან მისი ანალოგის შეძენა/შენახვა/გასაღებას გულისხმობს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მის წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობს 260-ე მუხლის პირველი და 261-ე მუხლის მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტებითაც. ადვოკატის ცნობით, მას პროკურატურა ნარკოტიკული ნივთიერებების ფლობას ედავება, ფსიქოტროპული ნივთიერებების ნაწილში კი მოხმარებას. ზურა ნიჟარაძის სასამართლო სხდომა 28 დეკემბერს არის ჩანიშნული.

პროკურატურამ საგარეჯოში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.



უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 11 ნოემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ქეშალოში, ვალთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთშელაპარაკების დროს ბრალდებულმა დაზარალებულს დანით სხეულის სხვადასხვა არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდების მხარე, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით თელავის რაიონულ სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

პროკურატურამ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მოკლული თამაზ გინტურის უფლებამონაცვლედ მისი შვილი ცნო

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მოკლული თამაზ გინტურის უფლებამონაცვლედ მისი შვილი, დიმა გინტური ცნო. აღნიშნული „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურაში დაუდასტურეს.

ცნობისთვის, საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური რუსეთის საოკუპაციო ძალებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 6 ნოემბერს მოკლეს, ლევან დოთიაშვილი კი გაიტაცეს და მომხდარიდან 3 დღეში გაათავისუფლეს. თამაზ გინტური და ლევან დოთიაშვილი ლომისის ეკლესიაში, სანთლების დასანთებად მიდიოდნენ, როცა რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ცეცხლი გახსნეს.

თამაზ გინტური კირბალში, 11 ნოემბერს, სამხედრო პატივით დაკრძალეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალგაზრდობის სააგენტო დაემატება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 10 საკითხი განიხილეს.

განსახილველ საკითხებს შორის იყო კანონის პროექტი, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდობის სააგენტო, რომელიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექვემდებარებოდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის.

შესაბამისად, სამინისტროს სახელწოდებად განისაზღვრება – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

მთავრობის სხდომაზე ასევე დამტკიცდა ეკონომიკის სამინისტროს მიერ ინიციირებული განკარგულების პროექტი, რომელიც 14 მოიჯარე პირისთვის ჯამურად 305 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების გადაცემას გულისხმობს. აღნიშნული მიწის ნაკვეთები ხონის, ზუგდიდის, მცხეთის, დუშეთის, ხობის, გარდაბნის, აბაშის, გორის, სიღნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში მდებარეობს.

მოიჯარეებს მიწის ნაკვეთები საკუთრებაში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის, სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ქონების ღირებულების 75%-ის გადახდის საფუძველზე გადაეცათ. ჯამური საპრივატიზებო თანხა 3.085.206 ლარს შეადგენს.

სხდომაზე დამტკიცებულ განკარგულებებს შორის ასევე არის ქარისა და მზის ელექტროსადგურთა ორი პროექტი. 30 მგვტ სიმძლავრის ქარის ჰიდროსადგურზე, რომლის აშენებაც შიდა ქართლის რეგიონში იგეგმება, საჯარო და კერძო კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ხელშეკრულება გაფორმდება. პროექტისთვის საჭირო ინვესტიციის რაოდენობა 45 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს.

რაც შეეხება მზის ელექტროსადგურს, მისი აშენებაც შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში იგეგმება. სადგურის სიმძლავრე 6,259 მგვტ-ს, ხოლო ინვესტიცია 4,06 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. პროექტზე ხელშეკრულება მშენებლობის ფაზის დაწყების შესახებ გაფორმდება.

იორდანიის მეფე ისრაელის მიერ ღაზას ოკუპაციის ნებისმიერ გეგმას ეწინააღმდეგება

იორდანიის მეფე ისრაელის მიერ ღაზას ოკუპაციის ნებისმიერ გეგმას ეწინააღმდეგება, – ამის შესახებ ინფორმაციას იორდანიის სახელმწიფო მედია ავრცელებს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, იორდანიის მეფე აბდულა II ისრაელის მიერ ღაზას ნაწილების ოკუპაციას ან ანკლავის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზონების შექმნის იდეას ეწინააღმდეგება და აღნიშნა, რომ კრიზისის ძირითად მიზეზს ისრაელის მიერ პალესტინელების ლეგიტიმური უფლებების უარყოფა წარმოადგენს.

– კრიზისის საფუძველი ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ოკუპაცია და პალესტინელების ლეგიტიმური უფლებების უარყოფაა. გამოსავალი სწორედ აქ იწყება, ნებისმიერი სხვა გზა მარცხისთვის, უფრო მეტი ნგრევისთვის და ძალადობის ციკლის გაგრძელებისთვის არის განწირული, – განუცხადა მეფე აბდულამ სამეფო სასახლეში შეკრებილ პოლიტიკოსებს.

თურქეთის სანაპიროსთან მიგრანტებით დატვირთული ნავი გადაბრუნდა, დაღუპულია ხუთი ადამიანი



თურქეთის სანაპიროსთან მიგრანტებით დატვირთული ნავი გადაბრუნდა, დაღუპულია ხუთი ადამიანი, – ამის შესახებ ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო The Associated Press-ი, თურქეთის სანაპირო დაცვაზე დაყრდნობით, ავრცელებს.

თურქეთის სანაპირო დაცვის ცნობით, სულ მცირე ხუთი ადამიანი დაიღუპა მას შემდეგ, რაც მიგრანტებით დატვირთული ნავი, თურქეთის იზმირის პროვინციის სანაპიროსთან ახლოს ქარიშხლიან ამინდში გადაბრუნდა. თურქმა მაშველებმა ექვსი ადამიანის გადარჩენა შეძლეს, ხოლო ორი მიგრანტის სამძებრო-სამაშველო ოპერაცია, ამ დრომდე, გრძელდება.

თურქეთის ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მიგრანტები საბერძნეთის კუნძულ ქიოსზე მოხვედრას ცდილობდნენ. ინფორმაცია არალეგალი მიგრანტების ეროვნების შესახებ, ჯერჯერობით, არ ვრცელდება.

ბრიტანეთის შს მინისტრად ჯეიმს კლევერლი დაინიშნა, საგარეო საქმეთა მინისტრი კი დევიდ კამერონი გახდა

გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრად საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეიმს კლევერლი დაინიშნა, – ინფორმაციას BBC-ი ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, ჯეიმს კლევერლი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა ჩაანაცვლა. გაერთიანებულ სამეფოში სამთავრობო ცვლილებები მას შემდეგ დაიწყო, რაც პრემიერ-მინისტრმა რიში სუნაკმა სუელა ბრავერმანი შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლა. მან მცირე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ „თავის დროზე, მეტი ექნება სათქმელი“.

სუელა ბრავერმანი შინაგან საქმეთა მინისტრად ლიზ ტრასმა 2022 წლის სექტემბერში დანიშნა, მაგრამ 6 კვირის შემდეგ გადადგომა მოუწია იმის გამო, რომ ოფიციალური დოკუმენტი პირადი ელექტრონული ფოსტით გაგზავნა, რაც მინისტრის წესების დარღვევად ითვლება. რიში სუნაკმა ის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ექვსი დღის შემდეგ დააბრუნა.

ბენიამინ ნეთანიაჰუ: „ცეცხლს ბევრად უფრო ძლიერი ცეცხლით ვუპასუხებთ – ჩვენ გამარჯვებას ვაპირებთ, პაუზები არ იქნება“

– ცეცხლს უფრო ძლიერი ცეცხლით ვუპასუხებთ, – ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა.

– არსებობენ ისეთები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ შეუძლიათ ჩვენი ჯარებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ თავდასხმები გაზარდონ. ეს ცეცხლთან თამაშია, – განაცხადა ნეთანიაჰუმ.

– ცეცხლს ბევრად უფრო ძლიერი ცეცხლით ვუპასუხებთ. მათ არ უნდა გამოგვცადონ, რადგან ჯერ ჩვენ ძალის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოვავლინეთ. ყველას, ვინც ჩვენ ზიანს გვაყენებს, უფრო მეტ ზიანს მივაყენებთ, – აღნიშნა ისრაელის პრემიერმა.

ნეთანიაჰუმ განცხადება ისრაელის თავდაცვის ძალების უდაბნოს დაზვერვის ბატალიონთან, ე.წ. ბედუინთა ბატალიონთან შეხვედრის დროს გააკეთა.



– გილოცავთ. ჩვენი პარტნიორობა ყველა ჩვენგანის მომავალია ამ ველურების წინააღმდეგ. ჩვენ გამარჯვებას ვაპირებთ. პაუზები არ იქნება. ეს არ არის ოპერაცია, ეს არ არის ბრძოლის მორიგი რაუნდი. ჩვენ წინ ტოტალური გამარჯვებისთვის მივიწევთ, – განუცხადა ნეთანიაჰუმ ჯარისკაცებს.

სუსის მიერ დაკავებულ უცხო ქვეყნის ორ მოქალაქეს პატიმრობა შეეფარდა



თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანისა და ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის საქმეზე, სუსის მიერ დაკავებულ უცხო ქვეყნის ორ მოქალაქეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდების მხარის განცხადებით, სასამართლომ სრულიად გაიზიარა მათი პოზიცია, რომ არსებობდა ყველაზე უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეფარდების საფუძველი.

სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, რომ არსებობდა ორივე ბრალდებულის მიმართ ყველაზე უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის გამოყენების საფუძველი. კერძოდ, არსებობდა მათი მხრიდან მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხე. რაც შეეხება ფაქტობრივ გარემოებებს, გამოძიება მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის, საქართველოში მიგრანტების უკანონოდ შემოყვანასთან და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებით, ასევე ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასთან დაკავშირებით.

ცნობისთვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა, წარმოებული კონტრტერორისტული საქმიანობის პროცესში, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანისა და მისთვის საქართველოში ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნის მომზადების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე 11 ნოემბერს დააკავა.

2023, 14 ნოემბერი, №224

„ბოლო თვეების განმავლობაში გაიზარდა საქართველოს როლი აზერბაიჯან-სომხეთის მოლაპარაკებებში“

„ვაშინგტონი დაინტერესებულია იმით, რომ სამხრეთ კავკასიაში არ დაუშვას რუსეთისა და ამერიკისადმი მტრულად განწყობილი სხვა მოთამაშეების გაძლიერება“

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს აქვს ოკუპირებული ტერიტორიები. საოკუპაციო ხაზებთან გრძელდება ადამიანების ხოცვა-გატაცება. ამასთან, ქვეყნისთვის უმნიშვნელო არ არის ის, თუ რა ხდება მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში. აზერბაიჯანმა დაამყარა სრული კონტროლი ყარაბაღზე, გაუქმდა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის პრობლემები საბოლოოდ მოგვარებული არ არის. დღის წესრიგიდან არ მოხსნილა საომარი მოქმედებების განახლების საფრთხე. ამ საფრთხეზე მიანიშნებენ დასავლელი ოფიციალური პირები და ანალიტიკოსები. მოწესრიგების პროცესში თავისი საშუამავლო მისიის შესრულებას თბილისიც ცდილობს. საქართველოს გაზრდილ როლზე, ამერიკის ინტერესსა და სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე აზერბაიჯანულ მედიასთან საუბრობს ამერიკელი ანალიტიკოსი **ევგენი ჩაუსოვსკი.**

– ვაშინგტონი საკმაოდ აქტიური მოდერატორი იყო სომეთსა და აზერბაიჯანს შორის პრობლემების მოწესრიგების პროცესში. უკანასკნელ თვეებში ეს პროცესი შეჩერებულია. რა არის ამის მიზები? აშშ-მა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მოგვარებისადმი ინტერესი დაკარგა, თუ ის უფრო მეტად დაკავებულია უკრაინისა და პალესტინა-ისრაელის კონფლიქტებით?

– აშშ-ს აქვს უფრო პრიორიტეტული ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ისრაელი-ჰამასის კონფლიქტთან და ომთან უკრაინაში, ასევე ფართო გლობალურ კონკურენციასთან ჩინეთთან.

როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის საშუამავლო ძალისხმევა აქამდე უშედეგო გამოდგა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მნიშვნელოვანი დიპლომატიური პროგრესის მიღწევის თვალსაზრისით. ამასთან, ვაშინგტონი კვლავინდებურად დაინტერესებულია ბაქოსა და ერევანს შორის ნორმალიზაციაში პროგრესის მიღწევით.

– აშშ, რომელიც ოფიციალურად აღიარებს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას, თავს იკავებს იმისგან, რომ დააფიქსიროს ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიად. რატომ?

– ეს, ნაწილობრივ, აიხსნება იმით, რომ მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული საკითხის დიპლომატიურად გადაწყვეტა დღემდე ვერ მოხდა. ეს აქამდე არ მომხდარა, მოუხედავად ბაქოს ამასწინანდელი გამარჯვებისა. მეორე ფაქტორია გავლენიანი სომხური დიასპორა აშშ-ში.

– საერთოდ, როგორ აღიქვამს აშშ ახალ რეალიებს, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა 2023 წლის 20 სექტემბრის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც ბაქომ ჩაატარა ანტიტერორისტული ღონისძიებები ყარაბაღში?

– აშშ სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბებულ რეალიებს არაერთგვაროვნად აღიქვამს.

ერთი მხრივ, არსებობს საომარი მოქმედებების განახლების საფრთხე ან კონფლიქტის მოუგვარებლობის გამო პოლიტიკური ტურბულენტურობის საშიშროება.

მეორე მხრივ, არსებობს უზარმაზარი შესაძლებლობა, რომ გადაიდგას ნაბიჯი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების სრული ნორმალიზაციის მიმართულებით. ჩნდება ასევე საშუალება, განვითარდეს ეკონომიკური კავშირები სამხრეთ კავკასიასა და სხვა რეგიონებს შორის ტრანსკასპიური მარშრუტის მეშვეობით.

– არსებობს ვაშინგტონის, ბრიუსელის, მოსკოვის მოლაპარაკებათა მოედნები. როგორ გგონიათ, რომელ მათგანს აქვს მეტი შანსი, მიაღწიოს ბაქოსა და ერევანს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებების შეთანხმების ხელმოწერას?

– ვფიქრობ, რომ ამ მომენტისთვის მოლაპარაკებათა არცერთ ამ მოედანს არ შეუძლია მიაღწიოს მშვიდობიანი ხელშეკრულების დადებას ბაქოსა და ერევანს შორის. სომხეთი გამოხატავს უკმაყოფილებას რუსეთის მიმართ, აზერბაიჯანი კი – დასავლეთის მიმართ.

ბოლო თვეების განმავლობაში გაიზარდა მოლაპარაკებათა სხვა მოედნების მნიშვნელობა. მაგალითად, საქართველოს მოედნისა.

აშკარაა, რომ ბაქოსა და ერევანს შორის მყარი სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოსაწერად თითოეულმა ამ მოთამაშემ უნდა შეასრულოს თავისი კონსტრუქციული როლი.

– რა გეოპოლიტიკური ინტერესი აქვს აშშ-ს სამხრეთ კავკასიაში?

– ვაშინგტონი დაინტერესებულია იმით, რომ სამხრეთ კავკასიაში არ დაუშვას რუსეთისა და ამერიკისადმი მტრულად განწყობილი სხვა მოთამაშეების გავლენის გაძლიერება, რომ სამხრეთი კავკასია ორიენტირებული იყოს დასავლეთზე. ან სულ ცოტა, კონსტრუქციულად თანამშრომლობდეს მასთან როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ასე იყო საქართველოს შემთხვევაში.

„საქართველოში ექთნების ექიმებთან თანაფარდობა არ შეეფერება საერთაშორისო სტანდარტს“

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენით „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილება განიხილა, რომელიც ექთნებისა და მეანი-ექთნების საქმიანობის პროფესიული რეგულირების საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

კანონპროექტით, ტერმინთა განმარტებაში ზუსტდება პირობები დამოუკიდებელი საექთნო საქმიანობის განხორციელებისთვის; „ბებიაქალის“ წოდების ჩანაცვლება ხდება ახალი, გენდერულად ნეიტრალური ტერმინით „მეანი-ექთანი“ და კანონით განისაზღვრება აღნიშნული საქმიანობის განხორციელების პირობები; კანონმდებლობით განისაზღვრება ექთნისა და მეანი-ექთნის საბაზისო განათლების პროგრამები; ექთნებისა და მეანი-ექთნების მიღებული განათლების შესაბამისად, ინერგება წოდებრივი რანჟირების სისტემა.

კერძოდ: უმაღლესი (ბაკალავრიატის) კურსდამთავრებულ პირებს ენიჭებათ რეგისტრირებული ექთნის ამ მეანი-ექთნის წოდება. პროფესიული განათლების პროგრამის კურსდამთავრებულებს სერტიფიცირებული პრაქტიკოსი ექთნის ან მეანი-ექთნის წოდება.

საექთნო სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება წოდება – უმაღლესი კატეგორიის პრაქტიკის ექთანი.

საექთნო დიპლომისშემდგომი განათლების პროფესიული მზადების პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება წოდება – ექთანი სპეციალისტი.

ცვლილება, ასევე ითვალისწინებს ექთნებისა და მეანი-ექთნების ავტორიზაციის ელექტრონული რეესტრის შექმნას, რომლის საშუალებით განხორციელდება ექთნებისა და მეანი-ექთნების რეგისტრაცია და სერტიფიცირება.

კანონპროექტით, დამოუკიდებელი საექთნო და მეანი-ექთნის საქმიანობის უფლების მინიჭება მოხდება 5 წლის ვადით.

საქმიანობის ახალი ვადით გაგრძელებისთვის განისაზღვრება საექთნო და მეანი-ექთნის უწყვეტი განვითარების პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება.

– ქვეყანაში ექთნების ექიმებთან თანაფარდობა არ შეეფერება საერთაშორისო სტანდარტს. სასურველი თანაფარდობა არის ერთ ექიმზე ოთხი ექთანი, ჩვენს შემთხვევაში კი, ერთ ექიმზე მოდის ერთზე ნაკლები ექთანი. ამდენად, საკანონმდებლო აღიარება, პროფესიული სტატუსის გაძლიერება, შესაბამისი ფინანსური მოტივაცია – ის ფაქტორებია, რასაც უნდა მოჰყვეს ქვეყანაში ექთნების რაოდენობრივი დეფიციტის აღმფხვრა, – განაცხადა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, თამარ გაბუნიამ.

ეკონომიკა

საქართველო და მისი ოკუპირებული რეგიონი აფხაზეთი რუსეთში ღვინის იმპორტ-ექსპორტში მეორე ადგილზეა

იანვარ-ოქტომბერში რუსეთში ყველა სახის ღვინის ექსპორტში საქართველო იტალიას მოსდევს და მეორე ადგილზეა. ამის შესახებ ფედერალური საბაჟო სამსახურის მონაცემებში წერია, რაც რუსეთის მეღვინეობის ფორუმზე ამავე სამსახურის ფედერალური საბაჟო შემოსავლებისა და სატარიფო რეგულირების მთავარი სამმართველოს უფროსმა, მაქსიმ ჩმორამ წარადგინა.

საბაჟო სამსახურის მონაცემებით, რუსეთში ღვინის იმპორტი 10 თვის განმავლობაში 6%-ით გაიზარდა. კერძოდ, იანვარ-ოქტომბერში ღვინის მთლიანმა იმპორტმა 532,4 ტონა შეადგინა, მაშინ, როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ქვეყანაში 501,1 ტონა ღვინო შევიდა.

ყველაზე დიდი იმპორტიორი იტალიაა, საიდანაც რუსეთში მთლიანი მოცულობის 30% შევიდა. საქართველოდან რუსეთში იმპორტირებული ღვინის წილი 17%-ს შეადგენს. შემდეგ მოდის ესპანეთი, რომლის წილიც 13%-ია, ხოლო ტოპ-ხუთეულს საფრანგეთი (8%) და პორტუგალია (6%) ხურავს.

– მთავარი ლიდერები პოზიციებს არ კარგავენ, – აცხადებს ჩმორა.

რაც შეეხება რუსული ღვინის ექსპორტს, მაქსიმ ჩმორას მონაცემებით, იანვარ-ოქტომბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტი გაორმაგდა და 2,8 ათას ტონას მიაღწია. მთავარ საექსპორტო მიმართულებებში აქაც მეორე ადგილზე საქართველოა, კერძოდ, მისი ოკუპირებული რეგიონი, აფხაზეთი, თუმცა, ფედერალური საბაჟო სამსახურის მასალებში ის ცალკე „ქვეყნად“ არის დასახელებული.

რუსეთიდან ღვინო, ძირითადად, ჩინეთში გადის, რა მიმართულებაზეც ექსპორტი 41%-ს შეადგენს, შემდეგი აფხაზეთია, რომელსაც ექსპორტირებული რუსული ღვინის მთლიანი მოცულობის 40% მიეწოდება. ხუთეულში, ასევე, ისრაელი (4%), ტაჯიკეთი (3%) და თურქეთი (3%) მოხვდნენ.

ცნობისთვის: რუსეთის მთავრობამ ევროკავშირიდან, აშშ-დან, ავსტრალიიდან და სხვა „არამეგობრული“ ქვეყნებიდან ღვინის იმპორტზე დაწესებული გადასახადი გაზარდა, რამაც 1-ელი აგვისტოდან 12,5%-დან 20%-მდე მოიმატა, ხოლო ლიტრზე არანაკლებ 1,5 დოლარის ოდენობით დადგინდა. მეტიც, 9 ნოემბერს რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა დიმიტრი პატრუშევმა განაცხადა, რომ „არამეგობრული“ ქვეყნებიდან ღვინის იმპორტზე გაზრდილი გადასახადი, რომელსაც 2023 წლის ბოლომდე უნდა ემოქმედა, 2024 წელსაც გაგრძელდება.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები ისტორიულ მოგებაზე გავიდნენ

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები ისტორიულ მოგებაზე გავიდნენ, რომლის 86%-ზე მეტი მოდის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულ მოგებაზე. ამის შესახებ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტშია აღნიშნული. დოკუმენტის თანახმად, ზემოთ აღნიშნული მოცემულობა ნიშნავს, რომ საწარმოთა ბოლო 2 წლის მოგება არ არის მდგრადი და ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში შესაძლოა, ეს მაჩვენებელი ზარალის მიმართულებით შებრუნდეს.

როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ გადამუშავებული მონაცემებიდან ჩანს, 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგინა 117-მა საწარმომ. მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე სახელმწიფო საწარმოების წმინდა მოგებამ 2022 წელს 1 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც, კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება 787.3 მილიონი ლარი იყო. მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით კი წმინდა მოგებამ მიაღწია 1.4 მილიარდ ლარს, მათ შორის, კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგების ეფექტი იყო 1.171 მლრდ ლარი.

სახელმწიფო საწარმოები 2022 წელსაც 2021 წლის მსგავსად ინარჩუნებენ წმინდა მოგების მაღალ ნიშნულს. სექტორის ჯამურმა მოგებამ მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით 2022 წელს შეადგინა 1.4 მილიარდი ლარი, რაც ისტორიული მაქსიმუმია.

წმინდა მოგების 86%-ზე მეტი მოდის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულ მოგებაზე, ეს ნიშნავს, რომ საწარმოთა ბოლო 2 წლის მოგება არ არის მდგრადი და ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში შესაძლოა ეს მაჩვენებელი ზარალის მიმართულებით შებრუნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საწარმოთა სექტორში ბოლო 2 წლის დინამიკა დრამატულადაა გაუმჯობესებული წინა წლებთან შედარებით, ეს ხაზს უსვამს მხოლოდ სექტორის მოწყვლადობას გარე ფაქტორებზე, უმთავრესად კი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობის რისკებზე. ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოები მომავალ საანგარიშო პერიოდ(ებ)ში ამდენივე ოდენობით განიცდიან ზარალს.

საწარმოებისთვის მიმდინარე პერიოდი არის უნიკალური მომენტი შეიმცირონ უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულება მათი სესხების გარკვეული ნაწილის ლარიზაციით.

საწარმოებს ამ მომენტში აქვთ უნიკალური შანსი, შეამცირონ სავალუტო მოწყვლადობა საგარეო სესხების საშინაოთი ჩანაცვლების გზით. აღნიშნულს ასევე ექნება ირიბი პოზიტიური ეფექტი ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით, – ვკითხულობთ დოკუმენტში.

„მგონი დავიჭერი, იარაღს მიმიხედე, ბიჭო!“

ვაგრძელებთ ინტერვიუს ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან. დღეს იგი გაგრის ბრძოლებზე გვიამბობს. ინტერვიუ ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.

– როგორ ხდებოდა თბილისსა და არძინბას სეპარატისტულ ხელისუფლებას შორის პოლიტიკური წინააღმდეგობის ღია სამხედრო დაპირისპირებაში გადაზრდა?

– 1992 წლის აგვისტოა. მძიმე ვითარებაა აფხაზეთში. ჯაბა იოსელიანი, რომელიც თავიდანვე საომარი მოქმედებების დაწყების წინააღმდეგი იყო, კატეგორიულად ითხოვს სამხედრო აქტივობის სასწრაფოდ შეჩერებას. ამ დროისათვის, ქართველთა მხრიდან უკვე დაღუპულები არიან. აფხაზეთში შეყვანილია გვარდია, შინაგანი ჯარი, სატრანსპორტო და თბილისის პოლიციის ნაწილები.

მოლაპარაკებების გასამართავად ჯაბა იოსელიანი და თენგიზ სიგუა სოხუმში მიფრინავენ. ზურაბ ლაბახუას ტელეფონით უკავშირდება იოსელიანი და სოხუმის მინისტრთა კაბინეტის შენობაში შეხვედრას სთხოვს წარმომადგენლებთან ერთად, ოღონდ ომის გამჩაღებლის, არძინბას აუცილებელი მონაწილეობით. ჩამბას ქუჩაზე უკვე შეტაკებებია. ჩეჩენი და ჩრდილო კავკასიელი ბოევიკები შემოსულები არიან, სახლებში არიან ჩამსხდარნი მათი სნაიპერები. ჯაბა იოსელიანი, თენგიზ სიგუა, ავთანდილ იოსელიანი, ლორიკ მარშანია და ორი ადგილობრივი დეპუტატი ხვდებიან ბაღაფშს, ანქვაბს, ლაბახუას, აჩბას, ფილიას. არძინბა შეხვედრაზე არ მოვიდა. შეხვედრის მონაწილეები ცეცხლის შეწყვეტაზე თანხმდებიან, მაგრამ ეს პირობა ვერ შესრულდა. შუადღისას ცეცხლი განახლდა.

– ამ დროს გაგრაში რა მდგომარეობაა?

– სიმშვიდეა გაგრაში. გაგრის მხედრიონის უფროსს, ბადრი ფირცხელიანს უკავშირდება ბატონი ჯაბა და სთხოვს, მაქსიმალურად გააკონტროლოს სიტუაცია, არ დაუშვან ტყვიის გავარდნა, ბრძოლის გაჩაღება. ამ დროისთვის გაგრის გამგებელი არძინბას ბიძაშვილი, რუსლან იაზიჩბაა, მოადგილე – ჯონი ლატარია.

დაიწყეს ტყვარჩელის ქართული მოსახლეობის აწიოკება. ოჩამჩირეში და სოხუმში სროლებია. ჯარი გუმისთასთან არის გაჩერებული. ჯაბა იოსელიანი თბილისში ბრუნდება და გაფართოებულ პრეზიდიუმს სთავაზობს, რომ ყველა ღონისძიებები გატარდეს, რათა არ გაფართოვდეს საომარი მოქმედებები და ისევე დაიწყოს მოლაპარაკებები, პარალელურად მოხდეს ფსოუზე საზღვრის გამაგრება, გაგრაში გადაიკეტოს ბზიფის ხეობა, საიდანაც უკვე შემოსულები არიან ჩრდილო კავკასიელები და ისევ ელოდებიან შემატებას.

– მხედრიონი ამ დროს უკვე ჩართულია საომარ მოქმედებებში?

– მხედრიონი ამ დროისათვის აფხაზეთში ჯერ არაა ჩასული. პირიქით, ჯაბა იოსელიანი მხედრიონის დაშლადაბინავებას იწყებს, მაგრამ ახლა ამის დრო უკვე აღარაა. ცუდად მწვავდება ვითარება გაგრაში, იაზიჩბა გუდაუთაში გაიქცა, გაგრაშიც საომარი შეტაკებები დაიწყო და მხედრიონიც უკვე დაწყებულ ომში ჩაერთო. უკვე მთებისკენ გახიზნული სეპარატისტები მომატებული ძალებით ბრუნდებიან უკან. ტრასა – ოჩამჩირე სოხუმი დაიკავეს. იქვეა ხატაბი და მისი სისხლისმსმელები.

გაგრაში ვერტმფრენებით ჩავფრინდით. მამზიშხის მთებში განვლაგდით, ასევე ბასეინებთან, ტრასაზე. მოკლედ, რამდენიმე ასეული (სამას კაცამდე) მხედრიონელი სხვადასხვა პოზიციებზე გადავნაწილდით.

ჯონი ლატარია გამგებლად აირჩიეს, ქალაქის კომენდანტი ბადრი ფირცხელიანია, მხედრიონის უფროსი ლუხუმ ფალიანი.

მარიამობა დღეს, 28 აგვისტოს, ბზიფის გორაზე კურსანტები ჩახოცეს ჩრდილოკავკასიელმა კონფედერატებმა. მერე იქვე გამაგრდნენ. იციან, მთის დასაბრუნებლად და ბიჭების ცხედრების გამოსაყვანად აუცილებლად ავალთ.

მიშა ბურძგლა, ალექსანდრე სუხაშვილი (მავნე), ლაშა ქართველიშვილი (ბასტი), მიხო და ნიკუშა რაზმაძეები პირველები გავარდნენ ბზიფის გორისკენ, მათ ფეხდაფეხ ლევან ტატიშვილი, კოტე ანდრონიკაშვილი, ლაშა გიორგაძე მიყვნენ. ორი ჯავშანტრანსპორტიორი გაიყოლეს და ისე აუყვნენ აღმართს ალიკა ნაკანი, ბორჯომელი გელა გელაშვილი. გზად გოგია მღებრიშვილი (გოგია მეტყვიამფრქვევე) და გვარდიელები შემოხვდნენ. გასავათებულები არიან ბიჭები, აღარც ტყვიები აქვთ, აღარც ხელყუმბარები. ხევთან მიწვნენ სულის მოსათქმელად. მხედრიონელები გორას აუყვნენ, მათ უკვე ჯიმი ზუბიაშვილი, კობა არსენიშვილი, დათო დანელია, გია და დათო გეწაძეები და სხვები მიყვებიან. ჩასაფრებულები არიან მომხდურები. ცეცხლი გაუხსნეს ბიჭებს. სასწრაფოდ იკავებენ პოზიციებს ბიჭები, ლამის ხელჩართული ბრძოლაა, მაინც ანადგურებენ წინაღობას, სეპარატისტების გვამებს გზად ტოვებენ, ისე მიიწევენ ზემოთ. დაწინაურდა ჯავშანმანქანა. გიგა არველაძე და მიშა ჭაბუკიანი მიყვებიან გვერდით სროლით. ამირან პაპუნაშვილი ახალციხელებით ამოიჭრა ბრძოლის ველზე. იქვეა პავლიკა იოსელიანი. გორაკის შუაწელამდე ბრძოლით მიაღწიეს ბიჭებმა. იქ საზარელი სურათი დახვდათ: 17-18 წლის კურსანტები ყელგამოჭრილები ეყარნენ.

პირველ ჯავშანმანქანაში 4 ბიჭი დაასვენეს, მერე უკან დაიხია ჯავშანტრანსპორტიორმა. მისი ადგილი მეორე ჯავშანტრანსპორტიორმა დაიკავა. ამ დროს ჭურვი შეაგდეს პირველ ჯავშანმანქანაში, ჩასაფრებულმა სეპარატისტებმა. კურსანტებიც და ეკიპაჟის წევრებიც ცეცხლად იქცნენ. დასაბმელია ალიკა ნაკანი. ეკიპაჟის წევრები მისი მეგობრები არიან. ბრძოლით ადიან ბზიფის გორის წვერისკენ ბიჭები, მომხდურებისგან მთლიანად გასასუფთავებელია გორა, იქეთა მხარეს გადარეკონ იქნებ. მცირე ხნით სროლა შეჩერდა. ჩვენები მიწაზე გაწვნენ, რომ სული მოითქვან.

უცებ, ცხვირწინ აეტუზა ნაკანს ვიღაც ტიპი, მერე მოკურცხლა. გაედევნა ალიკა სროლით, სისხლის კვალს ხევში მიჰყავს ალიკა. ჩანს, ხევიდანაც არიან ამოხეტებულები. მთის წვერის სიგანე 7-8 მეტრია. იქით ხრამია, მერე ზემოთ ადის აქლემის კუზივით. იქაც სეპარატისტები არიან. ზვიად ფანგანი ძლივს არჩევს ყუმბარმტყორცნის სასროლ ადგილას. ჩანს, მიზანში ხვდება ზვიადის ნასროლი, ისეთი გამწარებით აამუშავეს ნაღმტყორცნები სეპარატისტებმა. ორ მთას შორის ხრამია, სოფლისკენ გზა ჩადის, მეორე გზა კლდისკენ მიდის, იქ არავინაა. სამი მხრით შემოესევიან ჩვენებს სეპარატისტები, ზურგიდანაც ცდილობენ ბიჭების ალყაში მოქცევას. იქ ბოხოხიანები გამოჩნდნენ. ოთხივე მხრიდან ალყაში არიან ბიჭები. ბიძინა პირველი, ჯამბულ ცინდელიანი, ემზარ ჩხეტიანი, გიო უდესიანი, სიკო ალექსიშვილი ზურგის ალყის განადგურებას ცდილობენ, რომ შიგნით შევიდნენ ჩვენებთან. გიო ხუციშვილი (შემდგომში ცნობილი მომღერალი) და რიჟა ცაგარეიშვილი ხევისკენ ჩასვლას ახერხებენ, მაგრამ თავში დაჭრილი რიჟა ისევ უკან გამოჰყავს გიოს. პავლიკა იოსელიანს როგორლაც კარგი პოზიცია ამოურჩევია, რკალისებურად ცხრილავს კონფედერატებს.

სურათი ასეთია: ალყაში არიან ჩვენები, ალყაში მოქცეულებს და ჩვენს დამხმარე ძალას შორის სეპარატისტები და ჩრდილოკავკასიელები არიან. იქვე არიან დაქირავებული ვანია რუსებიც. ხის ძირას ჩაწვა მავნე. მერე თავი ვეღარ წამოწია. თავს არ აწევინებს მტერი განუწყვეტელი ცეცხლით. ბაჭია და ბიჭები მის მიშველებას ცდილობენ, ვერ ხერხდება. წინაპრების და ჩვენი ბიჭების სისხლით მორწყულ მიწას დაადო შუბლი და ლოცვა დაიწყო თვალდახუჭულმა მავნემ. მერე თვალები გაახილა და წინ მიშიკო ბურძგლა დაინახა. „შენთან ვარ, მავნუშ“, – აუღელვებლად ეუბნება მიშიკო. ცოტა ხანში მიშიკოს ყვითელი მაისური სისხლით შეიღება, ყელიდან ფილტვამდე ჭრილობიდან გადმონახეთქმა. „მგონი დავიჭერი, იარაღს მიმიხედე, ბიჭო!“ – მშვიდად ამბობს მიშიკო. მერე ლამაზი თავი გვერდით გადახარა. თბილი, მშვენიერი სხეულით მიწას შეერწყა. სახეზე მხოლოდ მონატრება აწერია. იქნებ ერთი წლის წინ გარდაცვლილი დედის, იქნებ მამის, ან უკვე დანიშნული, საყვარელი გოგონასი. იგი სულ რაღაც 21 წლისაა. გმირობას ასაკი კი არა, მიშიკოსავით მარადიული ბიჭები ქმნიან.

უფრო გამწარდნენ ბიჭები. დაღუპულები და უკვე მრავლად დაჭრილებიც გამოსაყვანი არიან. გეგმა შეიმუშავეს. ალყაში მოქცეულები ზურგში მოქცეულ კონფედერატებს დაარტყამენ, დამხმარე მხედრიონელებიც შტურმით მიაწვებიან. გამოარღვიეს ალყა ბიჭებმა. ფეხდაფეხ მოჰყვებიან სეპარატისტები. გზაზეც ჩასაფრებულები არიან პირსისხლიანები. ისევ ორ რაზმად იყოფიან ჩვენები, პირველი რაზმი ბრძოლით დაეშვება თავქვე, გაასუფთავებს იქაურობას, მერე მეორე რაზმი დაიჭერს პირველი რაზმის ადგილს და ასე მონაცვლეობით, გაშმაგებული ბრძოლით გამოდიან ბიჭები უკან, დაღუპულ-დაჭრილებიც მოჰყავთ. სიმაღლე ისევ ასაღებია.

მედიცინა

მჟაუნას წვენი

მჟაუნას წვენი დიდებულად შველის მოდუნებული ნაწლავების აღდგენას. ეს ბოსტნეული მდიდარია კალიუმის ოქსალატით, რომელიც სასარგებლოა მხოლოდ ორგანული სახით. არასოდეს გამოიყენოთ მჟაუნა მოხარშული.

ის შეიცავს რკინისა და მაგნიუმის განსაკუთრებით დიდ რაოდენობას, რომლებიც გამუდმებით ესაჭიროება სისხლს და გამწმენდ ელემენტებს: ფოსფორს, გოგირდს, სილიციუმს (კაუბადი) – ასე აუცილებელს ჩვენი ორგანიზმისთვის.

ზემოხსენებული ელემენტების ერთიანობა მჟაუნას წვენს ძვირფას საკვებად ხდის ადამიანის ყველა ჯირკვლისთვის.

რატომ არის კარგი უმი ბოსტნეულის წვენები

ბოლოკის წვენი

ბოლოკის წვენი მზადდება მისი ფოთლებისა და ფესვებისგან. ის არასოდეს უნდა მიიღოთ ცალკე, ვინაიდან ძლიერ რეაქციას იწვევს.

სტაფილოს წვენთან შერწყმით ბოლოკის წვენი ხელს უწყობს ორგანიზმის ლორწოვანი გარსის ტონუსის გაძლიერებას და განსაკუთრებით ეფექტურია, თუ დავლევთ ერთი საათის განმავლობაში პირშუშხას წვენის მიღების შემდეგ. ბოლოკის წვენი ამშვიდებს, კურნავს სატკივარს და ორგანიზმს ასუფთავებს ლორწოსგან, რომელიც მცირე ხნით ადრე დაშალა პირშუშხას წვენმა. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს ლორწოვანი გარსის აღდგენას.

უმეტეს შემთხვევაში არ არის აუცილებელი თავიდან მოიცილოთ ლორწოს წარმოქმნილი ფისტულა ოპერაციის მეშვეობით, რომლისგანაც ეფექტი საბოლოო ჯამში შესაძლოა უარყოფითი იყოს. ამ მიზნით უმჯობესია პირშუშხასა და ლიმნის საწებლის გამოყენება. ლორწოს წარმოქმნის მიზეზია რძისა და რძის პროდუქტების, კონცენტრირებული შაქრის, სახამებლის, პურისა და ბურღულეულის გადამეტებული მიღება.

ჯალეიდოსკოპი

ამერიკის ჭაობში უზარმაზარი პითონი დაიჭირეს

აშშ-ში მონადირეებმა ჭაობში 90-კილოგრამიანი მუქი ვეფხვისებური პითონი დაიჭირეს.

ბუნების დაცვის სპეციალისტი მაქიკ ელფენბაინი თავის შვილ კოულთან ერთად ფლორიდის შტატში მდებარე ნაკრძალში ნადირობდა, როდესაც თავის ცხოვრებაში ყველაზე დიდ პითონს გადააწყდა. მის გარდა ქვეწარმავალი შორიახლოს მყოფმა კიდევ სამმა მონადირემ შენიშნა.

– ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ ეს გველი უნდა დაგვეჭირა, – ყვება მაიკი.

ხუთივე მამაკაცმა პითონს ხელი სტაცა და მისი გაუვნებელყოფა სცადა. ქვეწარმავალმა თავის განთავისუფლება და მონადირეების სხეულზე შემოხვევა სცადა. მონადირეებისა და გველის ორთაბრძოლა 45 წუთზე მეტხანს გაგრძელდა, სანამ მათ დასახმარებლად პითონებზე პროფესიონალი მონადირე ემი სივი არ მივიდა ადგილზე. სპეციალისტმა ქვეწარმავალი გააუვნებელყოფა და სახლში წაიღო სიგრძის გასაზომად და ასაწონად. პითონის წონამ 90 კილოგრამი, ხოლო სიგრძემ – 5,2 მეტრი შეადგინა. მონადირეების მიერ დაჭერილი პითონი წონის მიხედვით ფლორიდაში დაჭერილ პითონებს შორის მეორე ადგილზეა.

– ის უბრალოდ გველი კი არა, ნამდვილი ურჩხული იყო, – აცხადებს მაიკი.

გაკვეთის შემდეგ პითონის კუჭში თეთრკუდა ირემის ჩლიქები აღმოჩნდა.

ცირკიდან გაქცეულმა ლომმა ქუჩებში გაისეირნა

ხანდაზმული ლომი სახელად კიმბა ცირკის ვოლიერიდან გაიქცა და რამდენიმე საათი რომიდან დაახლოვებით 60 კილომეტრში მდებარე ზღვისპირა ქალაქ ლადისპოლის ქუჩებში დასეირნობდა.

შაბათს, 11 ნოემბერს, დღის მეორე ნახევარში კიმბამ თავისი ვოლიერიდან თავის დაღწევა მოახერხა, რომლის კარის ჩაკეტვა, სავარაუდოდ, დაწესებულების ერთ-ერთ თანამშრომელს დაავიწყდა. გარშემო მდელოებზე გასეირნების შემდეგ ცხოველმა ქალაქის ქუჩებში გადაინაცვლა, ხოლო ადგილობრივები მის სეირნობას აივნებიდან და ფანჯრებიდან ადევნებდნენ თვალს. ქალაქის მერმა, ალესანდრო გრანდომ მოსახლეობას ქუჩაში გასვლისგან თავის შეკავებისა და სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდა.

შვეულმფრენებისა და ღამის ხედვის მოწყობილობების გამოყენების წყალობით გაქცეული ცხოველი ექვსი საათის შემდეგ დაიჭირეს. პოლიციელების საგანგებო რაზმმა და ვეტერინარებმა ლომი დროებით დააძინეს.

მესაქონლემ თავდამსხმელ ნიანგს უკბინა და თავი გადაირჩინა



ავსტრალიაში მესაქონლეს ნიანგი დაესხა თავს და მან თავი იმით გადაირჩინა, რომ რეპტილიას უკბინა.

ოქტომბერში კოლინ დევერო ღობის შეკეთებით იყო დაკავებული მდინარე ფინისის ნაპირის სიახლოვეს. როდესაც ის მდინარის ყოფილ კალაპოტთან შეჩერდა, რომელიც გუბურად იყო გადაქცეული, მას თავს ნიანგი დაესხა.

– ორი ნაბიჯი გავაკეთე და ის ბინძური ურჩხული მარჯვენა ფეხში ჩამაფრინდა, – იხსენებს დევერო ნიანგის თავდასხმის მომენტს.

სამ მეტრზე მეტი სიგრძის რეპტილიამ მამაკაცის წყალში ჩათრევა მოახერხა. ავსტრალიელი ნიანგისგან თავის დაღწევას თავისუფალი ფეხის მისთვის ფერდში ჩარტყმით ცდილობდა.

– ისეთ მოუხერხებელ მდგომარეობაში ვიყავი... მოულოდნელად კბილებით ქუთუთოში ვწვდი და ვუკბინე, ამის შედეგად მან პირი გამიშვა, – იხსენებს მესაქონლე.

ნიანგისგან თავდაღწეული ავსტრალიელი თავის ავტომობილისკენ გაიქცა, მისი მტკიცებით, რეპტილია მას უკან მისდევდა, თუმცა, შემდეგ თავი დაანება.

დევერომ, რომელმაც ფეხზე სერიოზული დაზიანება მიიღო, სისხლდენის შეჩერება პირსახოცის ფეხზე გადაჭერით სცადა, შემდეგ კი ის ძმამ საავადმყოფოში წაიყვანა. იქ მამაკაცს იარა საგულდაგულოდ დაუმუშავეს, რამდენიმე დღის შემდეგ კი ფეხზე კანის გადანერგვის ოპერაცია ჩაუტარდა და დღემდე საავადმყოფოში გადის მკურნალობის კურსს ჯანმრთელობის აღსადგენად.

რისთვის ემზადებიან რუსები?

გასული დღის განმავლობაში რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ბრძოლების ინტენსიურობა დაეცა. გამონაკლისია ავდეევკა. აქ რუსები კვლავ ცდილობენ ქალაქის ალყაში მოქცევას. ოკუპანტებმა კვლავ სცადეს ტერიკონის სიმაღლეზე მომაგრება და ავდეევკის კოქსოქიმიური კონბინატისაკენ გაჭრა. ეს მცდელობა მარცხით დასრულდა. უკრაინელებმა შეტევა მოიგერიეს და კონტრიერიშზე გადავდნენ. ფრონტის სხვა უბნებზე ოკუპანტების აქტიურობა შემცირდა. გამონაკლისია ავდეევკა, სადაც გააფთრებული ბრძოლები გრძელდება. ოკუპანტების დანაკარგების უმრავლესობაც, ძირითადად, ავდეევკაზე მოდის. რუსეთის არმიაში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 5.349; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 10.073; არტილერია – 7.559; თვითმფრინავები – 322.

სულ განადგურებულია – 312.550 ოკუპანტი.

ნატოს ექსგენერალური მდივნის განცხადებამ უკრაინელები აღაშფოთა

ნატოს ექსხელმძღვანელმა რასმუნსენმა განაცხადა, რომ უკრაინა ნატოში აუცილებლად შევა, მაგრამ ეს ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე მოხდება.

– მხედველობაში მაქვს დონბასი, აგრეთვე ზაპორუჟიე, ხერსონის ოლქები! – თქვა რასმუნსენმა. ნატოს ექსმდივნის ამ სიტყვებმა უკრაინელები აღაშფოთა. პრეზიდენტ ზელენსკის ოფისის მრჩეველმა პოდოლიაკმა თქვა:

– ასეთ სისულელეს ნატოს თუნდაც ექსგენერალური მდივნისაგან არ მოველოდი.

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება და ავდეევკის გარდა, სხვაგანაც მიმდინარეობს, თუმცა, წინა დღეებთან შედარებით, ბრძოლების ინტენსიობა დაეცა. ასეა თუ ისე, ფრონტის ხაზი არ შეცვლილა ისეთ ცხელ უბნებზე, როგორიცაა კუპიანსკი, ან ლიმანი. რაც შეეხება ბახმუტს, აქ უანასკნელი დღეების განმავლობაში ერთგვარი ცვლილებები მოხდა. მართალია, ბახმუტის სამხრეთით შედარებითი სიმშვიდეა, მაგრამ ჩრდილეთის მიმართულებით რუსების გააქტიურება დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, ოკუპანტებმა ფრონტის ხაზის შეცვლა ვერ შეძლეს.ზაპოროჟიეს ოლქში ცვლილებებია. აქ უკრაინელებმა რობოტინოდან კიდევ 15 კმ-ით წაიწიეს წინ. მარცხით დასრულდა რუსების ყველა მცდელობა, ხელი შეეშალათ მათი წინსვლისათვის.

გასული დღის განმავლობაში ოკუპანტებმა კვლავ დაბომბეს უკრაინის ტერიტორია. კერძოდ, დაიბომბა ავდეევკა, ლიმანი, კუპიანსკი, ოდესა, კიევი, დნეპრი, გულიაი-პოლე (ლეგენდარული ნესტორ მახნოს სამშობლო). უკრაინელებმა პასუხად დაარტყეს დროებით ოკუპირებულ ტერიტორიას, კერძოდ, მელიტოპოლს. განადგურებულ იქნა ოკუპანტების შტაბი. ამ დროს ლიკვიდრებულ იქნენ 1 გენერალი და სამი პოლკოვნიკი. ამას გარდა, განხორციელდა დარტყმები დროებით ოკუპირებულ დონეცკზე.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

ქალმა მოღალატე პარტნიორზე შური პიცით იძია



ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ როკფორდის მკვიდრმა ქალმა გადაწყვიტა, მოღალატე პარტნიორზე შური პიცის რეცეპტის გამოყენებით ეძია.

40 წლის ჯენ ლეი მეგობარ მამაკაცს მას შემდეგ დაშორდა, როდესაც მისი სხვა ქალთან მიმოწერა ნახა. მოგვიანებით მოღალატე მამაკაცმა სხვა პარტნიორი გამონახა. ერთხელაც მან ლეის მიმართა თხოვნით, მისთვის მისი დედის პიცის საიდუმლო რეცეპტი მიეცა. ქალმა, რომელიც უკვე ცოცხალი აღარ არის, პიცის რეცეპტი ლეის ჯერ კიდევ მაშინ გაუმხილა, როდესაც ის ჯერ კიდევ მის შვილს ხვდებოდა.

ქალი გაანაწყენა იმან, რომ ახლა უკვე პიცას დედამისის რეცეპტით სხვა ქალი დაუმზადებდა. ყოფილმა პარტნიორმა ლეისთან ურთიერთობის მოგვარება და დანაშაულის გამოსყიდვა გადაწყვიტა, თუმცა ქალი დარწმუნებული იყო, რომ ის ამას მხოლოდ რეცეპტის გულისთვის აკეთებდა.

– ძალიან მატკინა გული, მის მიმართ ნდობა სრულიად დავკარგე, – განაცხადა ქალმა, რომელმაც მამაკაცისთვის რეცეპტის მიცემის მაგივრად, ის სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

ბევრმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ქალის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა, ზოგმაც კი საქციელი არ მოუწონა. საბოლოოდ ლეიმ მამაკაცს მაინც მისცა პიცის რეცეპტი, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ თავის ქმედებას არ ნანობდა და ასე მოახერხა თავის უმძიმეს ემოციურ განწყობასთან გამკლავება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

მკვლელმა ვეშაპებმა იახტა ჩაძირეს

გიბრალტარის სრუტეში მკვლელი ვეშაპები 45 წუთის განმავლობაში უტევდნენ იახტას და საბოლოოდ დააზიანეს და ჩაძირეს.



იახტა Grazie Mamma II, რომელიც პოლონურ საკრუიზო კომპანია Morskie Mile-ს ეკუთვნოდა, ზღვის ცხოველებმა მწყობრიდან 31 ოქტომბერს გამოიყვანეს. მათი ხანგრძლივი შეტევის შედეგად იახტა სერიოზულად დაზიანდა. მიუხედავად კაპიტნის, ეკიპაჟის, სამძებრო-სამაშველო სამსახურის და მაროკოს სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალების მცდელობისა, იახტა პორტში მიეყვანათ, ის მაროკოს პორტ ტანგერ-მედის მახლობლად ჩაიძირა. აღნიშნული ინციდენტის შედეგად ხომალდის ეკიპაჟის წევრები არ დაშავებულან. აღსანიშნავია, რომ პოლონური ხომალდი მკვლელი ვეშაპების მიერ მეოთხე ჩაძირული გემია ბოლო სამი წლის განმავლობაში. 2020 წლიდან მკვლევარებმა გიბრალტარის სრუტეში ვეშაპების ხომალდებზე თავდასხმის ასეულობით შემთხვევა დააფიქსირეს. ამ დროისთვის მეცნიერებს არ აქვთ პასუხი კითხვაზე, თუ რითი არის ზღვის ამ ცხოველების ასეთი აგრესია გამოწვეული. ზოგიერთი მათგანი კი ფიქრობს, რომ ისინი უბრალოდ ხომალდების მწყობრიდან გამოყვანით ერთობიან.

სოფლის მაცხოვრებლებმა გათხოვილი ქალის საყვარელი დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და სცემეს

ინდოეთში მამაკაცი ხეზე მიაბეს და იმის გამო სცემეს, რომ მას რომანი ჰქონდა გათხოვილ ქალთან.

ჯარკხანდის შტატის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა საყვარელი მას შემდეგ გაიჩინა, როცა მისი ქმარი საზღვარგარეთ იმყოფებოდა სამუშაოდ, მაგრამ შემდეგ მიატოვა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. ქალს საყვარელი კი ფარულად ღამით აკითხავდა, თუმცა, ერთ-ერთი მორიგი ვიზიტის დროს ის მეზობლებმა და ქალის ნათესავებმა შენიშნეს.

ისინი დაელოდნენ, სანამ მამაკაცი სახლში შევიდოდა, შემდეგ შიგნით შეიჭრნენ და საყვარლებს უხერხულ მდგომარეობაში დაადგნენ თავს. თანასოფლელებმა ღამის ვიზიტორი დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და სცემეს.

ქალმა პოლიციას მიმართა, თუმცა, შემდეგ თანასოფლელებისა და ნათესავების მიმართ ოფიციალური ბრალდება არ წაუყენებია.

მოგვიანებით სოფლის მაცხოვრებლებმა თათბირი გამართეს, რომელზეც დაადგინეს, რომ მამაკაცი ვალდებული იყო საყვარელზე დაქორწინებულიყო. ქალის ოჯახმა ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა, რასაც არ დაეთანხმა მამაკაცის მხარე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ვილი სანიოლი: შოტლანდია-ესპანეთთან ბევრი რამ კარგად უნდა გავაკეთოთ

2024 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი დასკვნით ფაზაში შედის. საქართველოს ნაკრებს ორი მატჩი აქვს დარჩენილი: 16 ნოემბერს, შინ, შოტლანდიასთან და 19 ნოემბერს, სტუმრად, ესპანეთთან.

გუნდმა მოახლოებული მატჩებისთვის მზადება დაიწყო და მატჩების წინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა პრესკონფერენცია გამართა.

ვილი სანიოლი:

– ოთარ კიტეიშვილს აქილევსის მყესის პრობლემა აქვს და ზუსტად არავინ იცის, რა დრო დასჭირდება დასაბრუნებლად. კარგი რეაბილიტაცია და დასვენება სჭირდება, რადგან აქილევსის მყესს ფრთხილად უნდა მოეპყრა.

დავით ხოჭოლავა დაბრუნდა, ითამაშა, განაცხადშიც იყო, მაგრამ კვლავ მუხლის პრობლემა შეექმნა და კიდევ ერთი ოპერაცია გაიკეთა. ზუსტად არ ვიცით, თუ რა სახის პრობლემა აქვს მას.

საბა ლობჟანიძე ნაკრებში იმიტომ არ არის, რომ დღეს გამთენიისას ითამაშა და აქ ჩამოსასვლელად ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა. საბასთან არანაირი პრობლემა არ მაქვს და ეროვნულ გუნდში მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ კლუბში თამაში ჰქონდა. საბას ნაკრებში მუდმივად ვიძახებდი და მისით კმაყოფილი ვარ.

წინ ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი გველოდება, ევრო 2024-ის ფლეი ოფს ვგულისხმობ. შოტლანდია-ესპანეთის გარდა, ფლეი ოფამდე სხვა თამაშები არ გვაქვს. ჩვენ ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალებას კიდევ ერთხელ მივცემთ, მაგრამ, ვნახოთ, ოთხი თვის შემდეგ ვინ როგორ ფორმაში იქნება.

წელს შანსი ბევრ ახალგაზრდა ფეხბურთელს მივეცი. ლუკა გაგნიძე და საბა საზონოვი მსგავს სიტუაციაში არიან. ისინი საკუთარ კლუბებში არ თამაშობენ და ინტენსივობა აკლიათ. მათ მეტი უნდა ითამაშონ, რათა გაზრდა და უფრო მაღალ დონეზე ასვლა შეძლონ. იმედი მაქვს, ეს რთული ვითარება ორივეს უფრო ძლიერს გახდის.

თუ საზონოვი კარგად ითამაშებს, საქართველოს ნაკრების დაცვის მომავალი იქნება. თუმცა, პრაქტიკის გარეშე შოტლანდიისა და ესპანეთის ნაკრების დონის მეტოქეებთან თამაში რთულია, რადგან დიდი ხანი გიწევს თავის დაცვა, ბევრი უნდა იმოძრაო. მესმის, რომ იტალიაში მცველებს თავიდან ძალიან უჭირთ, ტაქტიკურად და ფიზიკურად ბევრს ითხოვენ და საბას ადაპტაცია სჭირდება.

რაც შეეხება გიორგი წიტაიშვილს, მის პოზიციაზე რამდენიმე ფეხბურთელი გვყავს. აზაროვმა და შენგელიამ ძალიან კარგად ითამაშეს. განსაკუთრებით ლევანმა ძალიან მოუმატა და ბოლო, ორი მატჩში ძალიან ეფექტური იყო. წიტაიშვილისთვის ნაკრების კარი დაკეტილი არაა, მისგან ბევრს ველოდებით და ისიც, რომ ბევრი კუთხით აქვს მოსამატებელი.

ნახევარდაცვაში პრობლემა გვქონდა, ასევე დაცვაშიც. ეფექტიანები ვერ ვიყავით, გაცილებით მეტი გვინდა და გვჭირდება. კვიპროსთან მეორე ტაიმში კმაყოფილი დავრჩი, ქოჩორაშვილმა, ჩაკვეტაძემ და კიტეიშვილმა კარგი ბალანსი იპოვეს. სანდრო ალთუნაშვილმა ტაილანდთან ითამაშა და კარგად გამოიყურებოდა. რასაკვირველია, მისი გამოძახება იმას ნიშნავს, რომ მისი ავსტრიაში თამაშით კმაყოფილი ვარ და მომავალი ორი მატჩისთვის შემადგენლობაში განვიხილავ. არჩევანი მაქვს და გადაწყვეტილებას ვიღებ.

კლუბებში ჩემი ფეხბურთელების მწვრთნელებთან კონტაქტი მაქვს, მაგრამ არა ყველასთან, რადგან საკუთარ გადაწყვეტილებებზე საუბარი არ სურთ. ზოგჯერ, ფეხბურთელისთვის გუნდსა და ნაკრებში არსებული სიტუაცია სრულად განსხვავდება. მიქაუტაძე ნაკრებში ძალიან კარგია, მაგრამ კლუბში პრობლემები აქვს. ნაკრები და კლუბი აბსოლუტურად განსხვავებული სამყაროა. მაგალითად, ვესაუბრე კარლსრუეს მწვრთნელსაც, ჩვენ სხვადასხვა საკითხს განსხვავებულად ვუყურებთ. არა მხოლოდ საფეხბურთო კუთხით, ჩვენი ნაკრების ექიმს მუდმივი კონტაქტი აქვს თავის კოლეგებთან, რათა ვიცოდეთ, თუ როგორ ფიზიკურ კონდიციებში არიან ჩვენი ფეხბურთელები.

გაბრიელ სიგუასთან მიმართებით, შესაძლოა, არასწორი ვიყავი, როცა ვთქვი, რომ ტაილანდთან მატჩის ძირითად შემადგენლობაში იქნებოდა. ვარჯიშზე ტაქტიკური გეგმა შევიმუშავეთ და გაბრიელი ამ ტაქტიკაში კარგად ვერ ჩაჯდა, დავალებებში კარგად ვერ გაერკვა. სიგუაც ამ ნაკრების მომავალია, კარგ გუნდში თამაშობს, ამიტომ არის ჩვენთან ერთად, თუმცა, ცხადია, მან კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს და გაიზარდოს. ნაკრების სხვა ნახევარმცველებისგან სრულად განსხვავებულია, განსხვავებული თვისებები აქვს.

გიორგი გოჩოლეიშვილი, ოთარ კაკაბაძე, ვლადიმერ მამუჩაშვილი და საბა ლობჟანიძე ერთსა და იმავე პოზიციაზე თამაშობენ, მაგრამ ეს გუნდში დისბალანსს არ ქმნის. მამუჩაშვილმა ძალიან კარგად ითამაშა კვიპროსთან. კაკაბაძე ყოველთვის საიმედოდ თამაშობს და ძალიან მიხარია, რომ ტრავმა მოიშუშა და დაბრუნდა. ოთარი მინდვრის მიღმაც ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. გოჩოლეიშვილს მარჯვნივაც შეუძლია თამაში და მარცხნივაც.

შოტლანდია და ესპანეთი განსხვავებული გუნდებია იმათთან შედარებით, ვისთანაც მარტში თამაში მოგვიწევს. თუმცა, ტაქტიკა უნდა დავხვეწოთ და რის გაკეთებასაც ვცდილობთ, ის უკეთ გავაკეთოთ. დაცვაში თამაში დავალაგოთ, თვითრწმენა გავიუმჯობესოთ. ეს ორი მატჩიც ამას ემსახურება. ცხადია, იმისათვის, რომ თავდაჯერება იგრძნოს გუნდმა, შოტლანდიასა და ესპანეთთან ძალიან ბევრი რამ ძალიან კარგად უნდა გავაკეთოთ.

დიდი ხანია ისეთი სისტემით ვთამაშობთ, რომელშიც ხვიჩა კვარაცხელია უფრო ცენტრისკენაა შეწეული. ბოლო თვეების მანძილზე, ნაპოლიშიც ხშირად იწევდა ცენტრში. კვარაცხელია ჩვენი ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. 2021 წლის ოქტომბერში შევცვალე ტაქტიკა და ცენტრში შევწიე, ხვიჩა მაინც ძალიან მაგრად თამაშობს. ზიდანი რეალში უფრო ცენტრში თამაშობდა, ნაკრებში მეტად ფლანგზე. არ არის მნიშვნელოვანი, ზუსტად სად დააყენებ მაღალი დონის ფეხბურთელს, მთავარია საკუთარი ძლიერი მხარეების გამოვლენის საშუალება ჰქონდეს. ნაკრებში ისეთ პოზიციაზეა, რომ დაცვაში ჩამორბენა და დიდი ენერგიის დახარჯვა არ უწევს. ხვიჩა საკუთარ თავს საუკეთესოდ იმ პოზიციაზე აჩენს, სადაც ჩვენ ვაყენებთ.

სადღეისოდ, ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ესპანეთსა და შოტლანდიას 15-15 ქულა აქვთ; ნორვეგიას 10 ქულა აქვს; საქართველოს – 7; ბოლოზე უქულო კვიპროსია.

საქართველო-შოტლანდიის მატჩი 16 ნოემბერს, დინამო არენაზე, 21:00 საათზე დაწყება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კიმ კარდაშიანმა თაყვანისმცემლები მოშიშვლებული მკერდით გააკვირვა

ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა საკუთარი ბრენდის სკიმსისთვის ეროტიული ფოტოსურათები გადაიღო და თაყვანისმცემლები გააკვირვა. ამის ამსახველი ფოტოსურათები კომენტარებით ინსტაგრამში მის გვერდზე გამოქვეყნდა.

ერთ-ერთ ფოტოზე 43 წლის მეწარმე თეთრ აბრეშუმის შორტებში გამოწყობილია გამოსახული, ხოლო შიშველ მკერდზე ყინულზე სასრიალო ციგურები აქვს აფარებული. ამავდროულად ვიზაჟისტებს მისთვის სახეზე ცისფერი ტონის მაკიაჟი აქვთ გაკეთებული, თავზე კი ღია ფერის პარიკი უკეთია.

კიდევ ერთ ფოტოზე კარდაშიანი წითელ სხეულზე მომდგარ კომბინეზონში გამოწყობილია აღბეჭდილი, სხვა ფოტოზე კი მოკლე ტრუსებსა და მაღალყელიან ჩექმებში, კისერზე კი გრძელი თეთრი ფერის ყელსახვევი აქვს შემოხვეული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თსუ დაუმარცხებელია, ივერიონმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა

თსუ-რაში 97:78
(27:19; 22:23; 25:19; 23:17)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა რაში 97:78 დაამარცხა. სუპერლიგის მოქმედ ჩემპიონს, რომელიც ამ სეზონში ფიბა ევროპის თასზე ასპარეზობს, მორიგი გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებია. თსუ-მ მე-3 გამარჯვება მოიპოვა და მიმდინარე სუპერლიგაში ერთადერთი გუნდია, რომელსაც მარცხი არ განუცდია.

სუპერლიგის დებიუტანტმა რაშ-მა პირველივე ტურში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ზედიზედ მე-3 მარცხი განიცადა. ბესიკ ლეჟავას გაწვრთნილ გუნდს თსუ-სთან მცირე შანსი ჰქონდა. მოქმედი ჩემპიონი მუდმივად ლიდერობდა, რაში კი კვალში ედგა და რამდენჯერმე – მეორე და მესამე პერიოდებში ჩამორჩენა 2-3 ქულამდე შეამცირა.

თსუ თამაშობდა 3 მთავარი უკანახაზელის – გიორგი ცინცაძის, ტაირი ბოიკინისა და რატი ანდრონიკაშვილის გარეშე. ამის მიუხედავად, უნივერსიტეტელებს მთლიანობაში არ გასჭირვებიათ. ნოდარ გოგოძემ თავი მშვენივრად გაართვა ბურთის გათამაშებას. ხოლო ფარქვეშ თსუ-ს ალექსანდრე ფევაძისა და ნიკოლა ვუიოვიჩის წყალობით, რომლებსაც კარგად ეხმარებოდა გიორგი ტურძილაძე, პრობლემა არ შეჰქმნიათ.

მესამე პერიოდში რაშის 2 ქულით მიახლოების შემდეგ, თსუ-მ სიჩქარე აკრიფა და ისე ჩაამთავრა დარჩენილი დრო, მეტოქე ახლოს აღარ მიუშვია.

უნივერსიტეტელებმა საბოლოოდ 19 ქულით გაიმარჯვეს, რაშიც ლომის წილი ფევაძემ დაიდო – 19 ქულა, 18 მოხსნა და 7 პასი; ბომბარდირი 24 ქულით კახა ჯინჭარაძე გახდა; 15-15 ქულა ლეგიონერებმა – ნიკოლა ვუიოვიჩმა და კემერონ კრენსტონმა მიითვალეს; რაშის შემადგენლობაში 14 ქულით ბრედ ოლსენი გამოირჩა; 11-11

ქულა სანდრო სანაძემ და გიორგი ვახანიამ მიითვალეს.

დელტა-ქუთაისი 80:83
(23:20; 21:28; 20:21; 16:14)

გურჯაანში სათამაშოდ ქუთაისი ჩავიდა და საკმაოდ საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება სტუმრებს დარჩათ. კოტე ტულუშის გაწვრთნილმა რიონისპირელებმა მატჩი 83:80 მოიგეს და 4 მატჩიდან უკვე 3 გამარჯვება დააგროვეს.

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილ გურჯაანელებს პირველ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ ზედიზედ სამი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული და ცხადია, მორიგ მოგებასაც გეგმავდა. თავის მხრივ, ქუთაისელებსაც არანაკლები ამბიცია აქვთ. იმერულმა კლუბმა პირველ ტურში რუსთავში წააგო და შემდეგ კი, ზედიზედ ორი მოიგო.

ამ მატჩში გამარჯვება ორივე გუნდისთვის დიდი უპირატესობა და სტიმული იქნებოდა და ეს ბონუსები საბოლოოდ ქუთაისელებმა მიიღეს.

თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მასპინძლებმა პირველი პერიოდი სამი ქულით მოიგეს, მეორეში კი, სტუმრებმა იძალეს და დიდი შესვენებისთვის 48:44 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა. ძირითადად ქუთაისი ლიდერობდა და გურჯაანელები ჩამორჩენის გაბათილებას ცდილობდნენ.

საბოლოოდ თამაში ისე დასრულდა, გურჯაანელთა მონდომებამ შედეგი ვერ გამოიღო. ქუთაისელებმა გამართულად ითამაშეს გადამწყვეტ ეპიზოდებში და ლიდერის სტატუსი ბოლომდე შეინარჩუნეს. ამის მთავარი მიზეზი სამწამიანში დომინაცია იყო. გურჯაანელებმა მეტოქეს პერიმეტრიდან აჯობეს – დელტამ 11 სამქულიანი ჩააგდო, ქუთაისმა კი – 6. სამაგიეროდ, საშუალო სროლებში იყო ქუთაისელთა უპირატესობა: 25 – 15.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო შედეგი გიორგი კორსანტიას ჰქონდა – 16 ქულა, 14 მოხსნა; 16 ქულა დააგროვა დეტრიკ ბრაუნინგმაც; 15 ქულა გიორგი სულაბერიძემ დააგროვა; ხოლო 14 – მიხეილ ბერიშვილმა; გურჯაანელთაგან 27 ქულით საუკეთესო იყო ოთარ ფხაკაძე; 16 ქულა ნიკოლოზ დარბაიძემ დააგროვა; ხოლო საბა ლობჯანიძემ – 12.

ივერიონი-კავკასია 88:87
(15:22; 23:21; 24:15; 26:29)

ძალიან დაძაბული მატჩი ჩატარდა გორში, სადაც ივერიონმა სუპერლიგაში ისტორიული, პირველი გამარჯვება მოიპოვა. გორის გუნდი სუპერლიგის წინა სეზონის ბრინჯაოსმედალოსან კავკასიას მასპინძლობდა და მეტოქე დაძაბულ ბრძოლაში, მინიმალური სხვაობით – 88:87 დაამარცხა.

ივერიონი სუპერლიგაში ერთადერთი გუნდი გახლდათ, რომელსაც მოგება არ ჰქონდა. დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილმა გორელებმა ბოლომდე იბრძოლეს და გამარჯვებამდე მივიდნენ. რაც შეეხება კავკასიას, გუნდს მწვრთნელი შეეცვალა. უფრო ზუსტად, კავკასიაში დაბრუნდა ბექა წივწივაძე, რომელიც წინა სეზონშიც წვრთნიდა. ნიკა ცინცაძემ კი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი 16-წლამდელთა საქართველოს ნაკრებზე მეტი კონცენტრირების გამო დატოვა.

გორელებს მეთიუ ნორმანმა ულიდერა, რომელმაც 6 სამქულიანი და ჯამში 22 ქულა მიითვალა; 21 ქულა კვენტინ ჰარდრიქტმა მოაგროვა; ხოლო გივი ბაქრაძის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა; კავკასიაში საუკეთესო შედეგი ილია ლონდარიძემ დააფიქსირა – 24 ქულა, 9 მოხსნა.

მარგვეთი-რუსთავი 97:110
(25:20; 24:26; 20:30; 28:34)

ზესტაფონის მარგვეთმა რუსთავს უმასპინძლა და ისე დამარცხდა, წარმატების შანსი არ ჰქონია. ზესტაფონის გუნდი სტუმრებს ისევ თბილისში მასპინძლობს, მაგრამ მეორე წრიდან საკუთარ ქალაქში ითამაშებს და ცხადია, ადგილობრივთა ქომაგობაც შეეშველება მეტოქესთან ბრძოლაში.

თბილისი არენაზე გამართული შეხვედრა ზესტაფონელებმა მშვენივრად დაიწყეს და პირველი პერიოდის შემდეგ 5 ქულითაც გალიდერდნენ. ვითარება არც 2-წუთიანი შესვენების შემდეგ შეიცვალა. მართალია, რუსთაველებმა შედარებით გამოასწორეს თამაში, თუმცა, ისე ვერა, რომ თამაშზე კონტროლი დაეწესებინათ. დიდ შესვენებამდე ქვემოქართლელებმა ჩამორჩენა მხოლოდ 2 ქულით შეამცირეს, მაგრამ მესამე პერიოდიდან ვითარება კარდინალურად შეიცვალა.

რუსთაველთა გარდატეხის მთავარი მიზეზი დემარი კინგის შორი სროლები იყო. ამერიკელმა უკანახაზელმა 8 სამქულიანი ჩააგდო, ჯამში კი 36 ქულა დააგროვა და რუსთაველთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მესამე პერიოდი ქვემოქართლელებმა 30:20 მოიგეს და ბოლო ათწუთეულის წინ 7 ქულით დაწინაურდნენ. ბოლო ათწუთეულში მოვლენები ისე განვითარდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. რუსთაველები დამაჯერებლად მივიდნენ გამარჯვებამდე – 110:97.

დემარი კინგის კვალზე რუსთაველებს გამარჯვებაში ჯორდან ჰეენდერსონი შეეშველა, რომელმაც 28 ქულა, 8 მოხსნა და 6 პასი მიითვალა; 13 ქულა ლუკა ბულაშვილის ანგარიშზეა; მარგვეთში 29 ქულითა და 8 მოხსნით ტაიშონ კროუფორდი გამოირჩა; მაიკლს მეისის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა; ირაკლი სულხანიშვილმა ზესტაფონელებს 13 ქულა შესძინა.

შედეგები

12 ნოემბერი

ფეხბურთი

ევრო 2024. შესარჩევი ეტაპი

კოსოვო-ისრაელი	1:0

ინგლისი. ჩემპიონატი

ასტონ ვილა-ფულემი	3:1
ბრაიტონი-შეფილდი	1:1
ვესტ ჰემი-ნოტინგემი	3:2
ლივერპული-ბრენტფორდი	3:0
ჩელსი-სიტი	4:4

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	12	9	1	2	32-12	28
2.ლივერპული	12	8	3	1	27-10	27
3.არსენალი	12	8	3	1	26-10	27
4.ტოტენჰემი	12	8	2	2	24-16	26
5.ასტონ ვილა	12	8	1	3	29-17	25
6.მანჩესტერი	12	7	0	5	13-16	21
7.ნიუკასლი	12	6	2	4	27-13	20
8.ბრაიტონი	12	5	4	3	25-21	19
9.კრ.პალასი	12	4	3	4	13-15	18
13.ვესტ ჰემი	12	5	2	5	21-22	17
10.ბრენტფორდი	12	4	4	4	19-17	16
11.ჩელსი	12	4	4	4	21-16	16
12.ვულვზი	12	4	3	5	17-20	15
14.ევერტონი	12	4	2	6	14-17	14
15.ნოტინგემი	12	3	4	5	14-18	13
16.ფულემი	12	3	3	6	10-20	12
17.ბორნმუთი	12	2	3	7	11-27	9
18.ლუთონი	12	1	3	8	10-22	6
19.შეფილდი	12	1	2	9	10-31	5
20.ბარნლი	12	1	1	10	9-30	4

გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-უნიონი	4:0
ვერდერი-აინტრახტი	2:2
ლაიფციგი-ფრაიბურგი	3:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლევერკუზენი	11	10	1	0	34-10	31
2.ბაიერნი	11	9	2	0	42-9	29
3.შტუტგარტი	11	8	0	3	29-14	24
4.ლაიფციგი	11	7	2	2	28-10	23
5.დორტმუნდი	11	6	3	2	31-17	21
6.ჰოფენჰაიმი	11	6	1	4	23-20	19
7.აინტრახტი	11	4	6	1	17-11	18
8.ფრაიბურგი	11	4	2	5	13-21	14
9.ვოლფსბურგი	11	4	1	6	15-20	13
10.გლადბახი	11	3	4	4	23-23	13
11.აუგსბურგი	11	3	4	4	20-23	13
12.ჰაიდენჰაიმი	11	3	2	6	16-23	11
13.ვერდერი	11	3	1	7	16-24	10
14.ბოხუმი	11	1	6	4	11-25	9
15.დარმშტადი	11	2	2	7	14-32	8
16.მაინცი	11	1	4	6	11-24	7
17.კიოლნი	11	1	3	7	9-23	6
18.უნიონი	11	2	0	9	11-26	6

ესპანეთი. ჩემპიონატი დივიზიონი

ბარსელონა-ალავესი	2:1
სევილია-ბეტისი	1:1
ატლეტიკო-ვილიარეალი	3:1

სატურნირო ცხრილი:

1.ხირონა	13	11	1	1	31-16	34
2.რეალი	13	10	2	1	28-9	32
3.ბარსელონა	13	9	3	1	26-13	30
4.ატლეტიკო	12	9	1	2	29-12	28
5.ბილბაო	13	7	3	3	25-17	24
6.სოსიედადი	13	6	4	3	23-16	22
7.ბეტისი	13	5	6	2	17-16	21
8.ლას პალმასი	13	5	3	5	11-12	18
9.ვალენსია	13	5	3	5	16-18	18
10.რაიო	13	4	6	3	15-18	18
11.ხეტაფე	13	3	7	3	15-17	16
12.ოსასუნა	13	4	2	7	15-21	14
13.სევილია	12	2	6	4	18-17	12
14.ვილიარეალი	13	3	3	7	18-24	12
15.ალავესი	13	3	3	7	11-18	12
16.კადისი	12	2	4	6	10-17	10
17.მალიორკა	12	1	6	5	12-18	9
18.სელტა	13	1	4	8	14-24	7
19.გრანადა	13	1	4	8	18-30	7
20.ალმერია	13	0	4	9	15-33	4

იტალია. სერია ა

ნაპოლი-ემპოლი	0:1
უდინეზე-ატალანტა	1:1
ფიორენტინა-ბოლონია	2:1
ლაციო-რომა	0:0
ინტერი-ფროზინონე	2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	12	10	1	1	29-6	31
2.იუვენტუსი	12	9	2	1	19-7	29
3.მილანი	12	7	2	3	20-14	23
4.ნაპოლი	12	6	3	3	24-13	21
5.ატალანტა	12	6	2	4	20-11	20
6.ფიორენტინა	12	6	2	4	20-14	20
7.რომა	12	5	3	4	22-14	18
8.ბოლონია	12	4	6	2	13-10	18
9.მონცა	12	4	5	3	13-11	17
10.ლაციო	12	5	2	5	13-13	17
11.ტორინო	12	4	4	4	10-14	16
12.ფროზინონე	12	4	3	5	17-20	15
13.ჯენოა	12	4	2	6	13-16	14
14.ლეჩე	12	3	5	4	13-16	14
15.სასუოლო	12	3	3	6	16-21	12
16.უდინეზე	11	1	7	3	7-14	10
17.ემპოლი	12	3	1	8	5-21	10
18.კალიარი	12	2	3	7	11-24	9
19.ვერონა	12	2	2	8	7-16	8
20.სალერნიტანა	12	0	5	7	8-24	5

საფრანგეთი. ლიგა 1

კლერმონი-ლორიანი	1:0
ლილი-ტულუზა	1:1
მეცი-ნანტი	3:1
რენი-ლიონი	0:1
ლანსი-მარსელი	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	12	8	3	1	29-9	27
2.ნიცა	12	7	5	0	13-4	26
3.მონაკო	12	7	3	2	25-14	24
4.ლილი	12	5	5	2	15-11	20
5.რეიმსი	12	6	2	4	17-15	20
6.მონპელიე	12	4	4	4	19-16	16
7.ლანსი	12	4	4	4	13-13	16
8.ბრესტი	11	4	3	4	11-13	15
9.ლე ავრი	12	3	6	3	11-13	15
10.ნანტი	12	4	2	6	17-23	14
11.მარსელი	11	3	4	4	12-13	13
12.მეცი	12	3	4	5	12-18	13
13.რენი	12	2	6	4	16-16	12
14.ტულუზა	12	2	6	4	13-16	12
15.სტრასბური	11	3	3	5	9-15	12
16.ლორიანი	12	2	5	5	15-21	11
17.კლერმონი	12	2	3	6	10-17	9
18.ლიონი	11	1	4	6	9-19	7

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შენგელიას ორმაგი დუბლი

იტალიის ჩემპიონატში მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა თორნიკე შენგელიამ, რომელმაც საკუთარ გუნდს მორიგი გამარჯვებისკენ ულიდერა. სერია ა-ს მორიგ ტურში ვირტუსმა ტრევიზოს უმასპინძლა და 91:77 რომ დაამარცხა, ქართველი ლეგიონერის დიდი დამსახურებაა.

შენგელია ოქტომბრის თვის საუკეთესო მოთამაშეა როგორც სერია ა-ში, ისე ევროლიგაში და, თუ ასე შედეგიან თამაშს გააგრძელებს, იგივე აღიარება ნოემბერშიც ელის.

ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 25 წუთში 20 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. შენგელიამ 11-დან 7 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამქულიანი კი ააცილა.

ქართველი ფორვარდის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 35 შეადგინა, რაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი იყო. დიდი ალბათობით, ამ შედეგს სერია ა-ს მე-7 ტურში ვერავინ გადაფარავს და თორნიკე ტურის მვპ გახდება. 6 მოგებითა და 1 მარცხით ვირტუსი პირველ ადგილზეა. შემდეგ ტურში ბოლონიელები ბრეშიას უმასპინძლებენ.

წლებია, ტენერიფე ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერებშია, მაგრამ ესპანური ლიგის ნამდვილი გრანდები – რეალი და ბარსელონა დამარცხებული არ ჰყავს. მორიგი შანსი ტენერიფელებს ბოლო ტურში ჰქონდათ, როცა კატალონიაში ბარსელონას დაუპირისპირდნენ, მაგრამ გრანდის დასამარცხებლად ძალები ბოლომდე არ ეყოთ.

ბოლო პერიოდის წინ ბარსელონა ტენერიფეს მხოლოდ 4 ქულით ამარცხებდა, მაგრამ შეხვედრა ისე ჩამთავრდა, შერმადინის გუნდს მოგების შანსი არ მისცემია. საბოლოოდ კატალონიელებმა 94:83 მოიგეს.

ქართველმა ცენტრმა მოედანზე მხოლოდ 18 წუთი გაატარა. ამ დროში ქართველმა ცენტრმა 7 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა დააგროვა. გიორგიმ 4-დან 2 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. ტენერიფე 4 მოგებით და 5 წაგებით მე-13 ადგილზეა. კანარიელები მომდევნო ტურში პალენსიას უმასპინძლებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ხავი: „ასეთი თამაშების მოგება ფსიქოლოგიურად გვაძლიერებს“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა, ხავიმ ალავესის დამარცხების შემდეგ თქვა, რომ მისი გუნდისთვის ასეთი გამარჯვებები საჭიროა, რადგან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ისინი უფრო ძლიერები გახდებიან. ბარსელონამ ალავესი 2:1 დაამარცხა და ისინი პირველი ტაიმის შემდეგ აგებდნენ:

– პირველი ტაიმი ძალიან ცუდად ჩავატარეთ და მეტოქე დამსახურებულად იგებდა, თუმცა, მეორე ტაიმში დასკვნები გავაკეთეთ და შევძელით გამარჯვების მოპოვება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. ასეთი თამაშები ფსიქოლოგიურად გვაძლიერებს“.

მოამზადა ბექა ვოვინაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საბურთაო ჩოგნის ძველი ქართული სახელწოდება; 2. მექსიკური სამეჯლისო ცეკვა; 3. სოფელი ხევსურეთში; 5. საორიენტაციო, სასიგნალო ნაგებობა ზღვის სანაპიროზე; 6. ველური გოგრა; 7. რაიონული ცენტრი მესხეთში; 11. კაზინოს თანამშრომელი; 13. მდინარე კახეთში; 14. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 15. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 16. სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ძველად საქართველოში; 17. საათის მექანიზმი; 19. დროის დიდი მონაკვეთი; 20. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი.

თარაზულად: 1. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 4. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 8. ციტრუსის ზედა შეფერილი ფენა; 9. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში; 10. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 14. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 15. ებრაული სამლოცველო; 16. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 18. ქალის ძვირფასთვლებიანი სამკაული; 21. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 22. შაქრითა და ხილის წვენებით დამზადებული აღმოსავლური სასმელი; 23. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თავთუხი; 2. საბურთალო; 3. გრუნდიგი; 4. ხრიდოლი; 5. ხაშური; 9. გრემიო; 11. ვერმელი; 12. ფიგარო; 14. ტასმანი; 18. ოტელო; 19. ბომბი.

თარაზულად: 4. ხორავა; 5. ხამანწკი; 6. ბრერა; 7. თიბათვე; 8. ბუნაგი; 10. წნევა; 13. ხუტორი; 15. თუშეთი; 16. გომი; 17. პინო; 20. მაროკო; 21. პოშეტი; 22. ჰილტონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რთველი; 2. ბანკო; 3. სოკო; 5. ტეკილა; 6. გრემი; 7. აქსიომა; 11. მესტია; 14. შარმი; 15. ფილიპსი; 16. ბაღდათი; 17. საღამო; 19. იარდი; 20. გეთი.

თარაზულად: 1. რუბენსი; 4. ზლოტი; 8. კოქსი; 9. კაფე; 10. ესკიმო; 12. ვიმპელი; 14. შატო; 15. ფართინგი; 16. ბირჟა; 18. ტვიში; 21. ღალია; 22. თავთუხი; 23. დემარში.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

14 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6970

ევრო — 2.8836

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3027

100 რუსული რუბლი — 2.9279

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუდი გარსიას მალე ოფიციალურად გაათავისუფლებენ

ნაპოლი საკუთარ მოედანზე ემპოლისთან დამარცხდა და ეს ბოლო წვეთი იყო ნაპოლის მფლობელისთვის დე ლაურენტისისთვის და გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუდი გარსიას მალე გაათავისუფლებენ დაკავებული თანამდებობიდან.

უახლოეს დღეებში ეს ოფიციალურად მოხდება, მანამდე კი ნაპოლი უკვე აქტიურად ეძებს მის შემცვლელს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნაპოლი რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს და მალე ფანები უფრო მეტს გაიგებენ.

იურგენ კლოპი: „ლივერპულს პრემიერლიგის მოგება შეუძლია“

ლივერპულმა საკუთარ მოედანზე ბრენტფორდი დაამარცხა 3:0 და მთელი მატჩის მანძილზე იურგენ კლოპის გუნდს ჰქონდა უპირატესობა, რაც ანგარიშშიც აისახა. მატჩის შემდეგ კლოპმა თქვა, რომ მისი გუნდი კარგ ფორმაშია და მათ შეუძლიათ პრემიერლიგის მოგება:

– ლივერპულს შეუძლია პრემიერლიგის მოგება და ჩვენ ყველა შეხვედრაში ვაჩვენებთ, რომ პროგრესი გვაქვს, თუმცა, არის შეცდომებიც, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კატო მიქელაძის პრემია ბრუნდება

პუბლიცისტის, ფემინისტისა და ჟურნალისტის კატო მიქელაძის სახელობის პრემია ერთწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება. პრემიის დამფუძნებელია ქალთა ფონდი საქართველოში.

კატო მიქელაძის პრემიის დაწესების უმთავრესი მიზანია, ქალი უფლებადამცველების აღიარება და დაფასება, მათი მნიშვნელოვანი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ქალთა უფლებების დამცველთათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და ქალთა უფლებების დაცვის სფეროში ახალი სახეების წახალისება.

გასული წლის განმავლობაში, ქალთა ფონდმა საქართველოში, მიწვეულ მრჩეველებთან ერთად, ყველა იმ გამოწვევასა თუ პრობლემურ საკითხზე იმსჯელა, რაც დაჯილდოებას უკავშირდებოდა. ამ პროცესში გუნდმა 2021 წელს, დამოუკიდებელი მკვლევარის, ლელა ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით იხელმძღვანელა. მკვლევარმა ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიუები ჩაატარა 70-მდე აქტივისტთან, რომლებსაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით ჰქონიათ შეხება კატო მიქელაძის სახელობის პრემიასთან.

ფონდმა გადაწყვიტა, გაუქმებინა კანდიდატის ანონიმურად წარდგენის საშუალება, რაც პოტენციურად, შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოვიდეს თვითნომინირების აკრძალვასთან. გაიმიჯნა კანდიდატის საქმიანობის სფეროები და გამოიყო რამდენიმე კატეგორიად. შესაძლებელი იქნება როგორც ერთი, ისე რამდენიმე ადამიანის ერთდროულად დასახელება, ჯგუფური/კოლექტიური საქმიანობისთვის. ყველა დასახელებული ფონდის მიერ არ იქნება წარდგენილი დაჯილდოებაზე და შეირჩევიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც იზიარებენ პრემიის ღირებულებებს და სრულად აკმაყოფილებენ მის კრიტერიუმებს.

დაჯილდოებამდე ფონდი უზრუნველყოფს [illegible]ერჩეულ კანდიდატებთან საერთო შეხვედრას [illegible]რაფორმალურ სივრცეში, სადაც მათ ექნებათ [illegible]საშუალება, ერთმანეთი გაიცნონ. ჟიურისთან [illegible]რთად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში [illegible]ინაწილეობას მიიღებენ თავად კანდიდატებიც, [illegible]ომლებსაც ჯამში 1 ხმა ექნებათ და ანონიმურად [illegible]ასახელებენ ნომინანტს, რომელსაც გულშემატკივრობენ. მეტი გამჭვირვალობისთვის, ჟიურის ვინაობა დაჯილდოების დღეს ცნობილი გახდება. დაჯილდოების ცერემონიალს დაემატება ფანდრაიზინგის ნაწილი და შეგროვილი თანხა სრულად მოხმარდება იმ ჯგუფს თუ მიზანს, რომელსაც დამსწრეებს წინასწარ გააცნობენ. სხვა ცვლილებებთან ერთად, პრემიის რებრენდინგის შედეგად, შეიცვალა მისი ვიზუალი, ჯილდო, ბანერი... ასევე გაიზარდა ფულადი ჯილდოს ოდენობაც. სიმბოლური საჩუქარი გადაეცემა კატოს ახალი მფლობელის დამსახელებელსაც.

კატო მიქელაძის პრემიაზე კანდიდატის წარდგენა შეუძლია როგორც ორგანიზაციას, ისე ფიზიკურ პირს. პრემია არ ითვალისწინებს თვითნომინირებას. დასახელებული შეიძლება იყოს, როგორც ცალკეული აქტივისტი, ისე აქტივისტების ჯგუფი, თუმცა, არა ორგანიზაცია. არ განიხილება ანონიმური და არასრულად შევსებული აპლიკაციები. კანდიდატი პირდაპირ უნდა იყოს ჩართული უფლებადაცვით საქმიანობაში, ხელს უწყობდეს ქალთა, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების, უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ფემინისტური ღირებულებების დანერგვა-გავრცელებას. მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურად იყოს ჩართული ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში, საქმიანობდეს საქართველოში, უნდა ჰქონდეს ფემინისტური აქტივიზმის გამოცდილება. კანდიდატის აქტივისტურ საქმიანობას, დამსახელებლის გარდა, სულ მცირე 1 წყარო უნდა ადასტურებდეს. მისი ღირებულებები უნდა იყოს თანხვედრაში კატო მიქელაძის პრემიის ღირებულებებთან.

კატოს ახალ მფლობელს შეარჩევენ: ნომინანტები საერთო 1 ხმით, ქალთა ფონდის თანამშრომლები საერთო 1 ხმით, ჟიურიში მოწვეული აქტივისტები – თითოეულს 1 ხმით. ფონდი მაქსიმალურად გამორიცხავს ჟიურიში მიწვეული აქტივისტების ინტერესთა კონფლიქტს ნომინანტებთან. კანდიდატების წარდგენის ბოლო ვადა 20 ნოემბერია.

კატო მიქელაძის პრემიის საპრიზო თანხა 2.500 ევროა. გამარჯვებულის დასახელება და დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 22 დეკემბერს გაიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

აკა მოდებაძე და გვანცა ციხელაშვილი მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ

მოცეკვავეები აკა მოდებაძე და გვანცა ციხელაშვილი 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

გადაცემის „შენი დილა“ ყოფილი თანაწამყვანები ცეკვების ფედერაციის მიერ ჩატარებული შეჯიბრის ფავორიტებად დასახელდნენ.

შეჯიბრი გერმანიის ქალაქ დრეზდენში ჩატარდა და ფინალში სულ 5 ქვეყნის წარმომადგენლები გავიდნენ: საქართველო, 2 წყვილი გერმანიიდან, ამერიკა, ჩეხეთი და ბულგარეთი.

ნანა ჯანელიძე: „ქართული კინო კვლავ გულთამპყრობელობს“

კინორეჟისორი ნანა ჯანელიძე ქართული კინოს წარმატებების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას:

– ქართული კინო კვლავ გულთამპყრობელობს: კოტბუსის 33-ე, აღმოსავლეთ ევროპის, საერთაშორისო კინოფესტივალზე 2 ქართული ფილმი 3 მთავარი პრიზის მფლობელი გახდა: ეკუმენიკური ჟიურის პრიზი გადაეცა ფილმს „შაშვი, შაშვი, მაყვალი“.

როლის საუკეთესო შესრულებისთვის მთავარი პრიზი გადაეცა ეკა ჩავლეიშვილს – ფილმისთვის „შაშვი, შაშვი, მაყვალი“.

პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის მიიღო რეზო გიგინეიშვილმა ფილმისთვის „პაციენტი № 1“.

ლელა ალიბეგაშვილი მარია კალასს ჩინეთში გააცოცხლებს

რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი ლელა ალიბეგაშვილი მსოფლიო საოპერო დივას მარია კალასს ჩინეთში გააცოცხლებს.

რუსთაველის თეატრი ჩინეთს გასტროლით ესტუმრება და წარმოადგენს სპექტაკლს „მარია კალასი. გაკვეთილი“, სადაც მთავარ როლს ლელა ალიბეგაშვილი თამაშობს.

რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ დადგმულ სპექტაკლს რუსთაველის თეატრის მსახიობები 17 ნოემბერს ჩინეთის თეატრალური ასოციაციის მიწვევით, შენჟენის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე წარმოადგენენ.

20 და 21 ნოემბერს კი პეკინის დრამის ასოციაციის მიწვევით, რუსთაველის ეროვნული თეატრი, მაყურებლის წინაშე პეკინის სახალხო ხელოვნების თეატრში ამავე სპექტაკლით წარსდგება.

ნიკოლოზ საღარაძის უნიკალური ფოტოკოლექცია საჯაროა

უნიკალური ფოტოების ავტორის ნიკოლოზ საღარაძის მრავალფეროვანი არქივი საჯაროა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა ფოტოგრაფის კოლექციის ნაწილის ელექტრონული ვერსია ონლაინსივრცეში გამოაქვეყნა.

ფოტოებს შორისაა საქართველოში მოღვაწე მწერლების, მსახიობების, რეჟისორებისა და სხვა ცნობილი ადამიანების სურათები. კოლექციის გამორჩეული ნაწილია ალექსანდრე მიხაილოვისა და მელქონ კახუჩაშვილის ქუთაისური ფოტოატელიეს საჩვენებელი ალბომები, რომელმაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უნიკალური ფოტოები შემოინახა.

ფოტოები 1880-1917 წლებშია გადაღებული.

ნიკოლოზ საღარაძემ ფოტოატელიეს ათწლეულობის განმავლობაში შექმნილი ფოტოარქივი – 150-მდე მინის ნეგატივი და 15 ფოტოალბომი – 1947 წელს არქივს საჩუქრად პირადად გადასცა.

ხაშმის წმინდა სამების მრავალსაუკუნოვან ფრესკაზე ხატი მიაჭედეს

ვახტანგ გორგასლის მიერ აგებულ კაწარეთის ანუ ხაშმის წმინდა სამების საკათედრო ეკლესიაში მრავალსაუკუნოვან ფრესკაზე ხატი მიაჭედეს.

ინფორმაცია და ფოტო ინტერნეტში დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– მრავალსაუკუნოვან ფრესკაზე თუ ხატი არ მიაჭედე, რაა მამული და მართლმადიდებლობა?! გეუბნებით, იმბეცილების ხელშია ეროვნული მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობა!

ვახტანგ გორგასლის აგებული კაწარეთის ანუ ხაშმის წმინდა სამების საკათედრო ეკლესია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბრედ პიტი საზოგადოებაში ახალ შეყვარებულთან ერთად გამოჩნდა

ჰოლივუდის მსახიობი ბრედ პიტი საზოგადოების წინაშე თავის ახალ შეყვარებულთან ერთად წარდგა.

ცნობილი კინოვარსკვლავი და მისი 30 წლის რჩეული ინეს დე რამონი ლოს-ანჯელესში მე-12 ყოველწლიურ გალა-კონცერტ LACMA Art+Film-ს დაესწრნენ, შემდეგ კი ერთად დატოვეს აღნიშნული ღონისძიება. პაპარაცებმა მათი გადაღება ქუჩაში მოასწრეს.

– ისინი ძალიან საყვარლად გამოიყურებოდნენ, იცინოდნენ და ირგვლივ ყველას ეხუმრებოდნენ. ერთად თავს კარგად გრძნობდნენ და ერთადაც წავიდნენ, – დაწერა ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ.

აღსანიშნავია, რომ პირველად ხმები ბრედ პიტისა და ინეს დე რამონის რომანის შესახებ 2022 წლის ნოემბერში გავრცელდა. წყვილი ერთად ლოს-ანჯელესში ვოკალისტ ბონოს ჯგუფ U2-ის კონცერტზე გამოჩნდა, შემდეგ კი ფილმ „ბაბილონის“ პრემიერაზე. კინოვარსკვლავის ახალი შეყვარებული დიეტოლოგი, ფიტნეს-მწვრთნელი და საიუველირო ნაკეთობების დიზაინერია. ის რამდენიმე წლის წინ მსახიობ პოლ უესლის მეუღლე იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ↄ



შვეულად: 1. გრეიფუტის ქართული სახელწოდება; 2. მდინარე დნეპრის ძველბერძნული სახელწოდება; 3. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 4. გერმანული ლუდი; 5. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 9. ინდოელთა სოფლები მექსიკაში; 11. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 12. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 14. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 19. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

თარაზულად: 4. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 5. მცენარის მჭამელი ცხოველი; 6. ლუდის სასმისი; 7. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 8. პატარა სამგზავრო-სატვირთო ავტომობილი; 10. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 13. ღვარძლიანი, შურიანი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 15. თევზის საჭერი მახე მდინარეში; 16. იაპონური ხის ქოშები; 17. ეკვადორის დედაქალაქი; 20. საქვეყნო საქმისთვის გაწეული შრომა, ამაგი; 21. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 22. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 23. უღელტეხილი საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა